მზეონა ჭილაშვილი

ქორწინებისა და განქორწინების წესი და ფორმა და მასთან დაკავშირებული პრობლემების მოწესრიგება საერთაშორისო კერძო სამართალში

წარმოდგენილია სამაგისტრო კვლევის პროექტი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
თბილისი, 0178, საქართველო
2019 წელი

საავტორო უფლება © 2019 წელი, მზეონა ჭილაშვილი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

ვადასტურებ, რომ გავეცანი მზეონა ჭილაშვილის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომის კვლევის პროექტს და პროექტი მზად არის დასამტკიცებლად.

ხელმძღვანელი: გ ი ა ლ ლუა შ ვ ი ლ

თარიღი

სარჩევი

რეზიუმე.....5

შესავალი.....7

თავიI ქორწინებისა და განქორწინების სუბიექტები საერთაშორისო კერძო სამართალში.....11

§1.ქორწინების წესი და მასთან დაკავშირებული საკითხები……..……11

§2. განქორწინება და მისი შედეგები.....18

§3. ქორწინების ბათილობა და მისი თანმდევი პროცესები.....23

თავიII მეუღლეთა შორის წარმოშობილი ურთიერთობები.....26

§1.საერთო საკუთრებაში არსებული ქონების გაყოფის წესი.....26

§2.ურთიერთრჩენის ვალდებულება მეუღლეთა შორის 33

თავი III საქორწინო კონტრაქტი.....36

§1. კონტრაქტის მიზანი.....36

§2.მეუღლეთა პირადი ხასიათის უფლება-მოვალეობების გათვალისწინება საქორწინო კონტრაქტში.....42

§3.საქორწინო კონტრაქტის შეცვლა, შეწყვეტა და ბათილად ცნობა.....45

თავი IV უცხო ქვეყნის სასამართლო პრაქტიკა.....49

§1.ტაჯიკეთის სახელმწიფოს საკანონმდებლო რეგულაციები ქორწინებასთან დაკავშირებით.....49

§2.ქორწინება და განქორწინება რუსეთის კანონმედებლობის მიხედვით.....52

§3. ქორწინების გაუქმება გერმანიის კანონმდებლობის თანახმად.....57

§4.მეუღლეთა ურთიერთთანასწორობა და ქორწინება აშშ-ის კანონმდებლობის შესაბამისად.....59

დასკვნა.....63
ბიბლიოგრაფია.....67
ვებ-საიტები.....69
სასამართლოს გადაწყვეტილებები.....70

რეზიუმე

სამაგისტრო ნაშრომში ,,ქორწინებისა და განქორწინების წესი და ფორმა და მასთან დაკავშირებული პრობლემების მოწესრიგება საერთაშორისო კერძო სამართალში“ განხილულია ის საყურადღებო და საოჯახო სამართლისათვის მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც წარმოადგენს ამოსავალ წერტილს საოჯახო ურთიერთობებში და ეხება ფუნდამენტურ საკითხებს.

ნაშრომში განხილული იქნება თემა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ არაერთი ევროპული ქვეყნის მრავალწლიან პრაქტიკასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით. რადგანაც თემა ეხება საერთაშორისო სამართალს აუცილებელია შედარება გაკეთდეს საქართველოს კანონმდებლობის, უცხო ქვეყნის კანონმდებლობასა და პრაქტიკასთან.

ნაშრომი მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს როგორიცაა ქორწინება, განქორწინება, ქორწინების ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ისეთი ნორმა, რომელიც შეიძლება ხარვეზული აღმოჩნდეს, ამიტომ აგრეთვე ყურადღება იქნება გამახვილებული, თუ უცხო ქვეყნებში როგორ უდგებიან ან განიხილავენ მსგავს ნორმებს.

ნაშრომში აგრეთვე საუბარი იქნება ისეთ პრობლემატურ საკითხზე, როგორიცაა ერთსქესიანთა ქორწინება, და განვიხილავ უცხო ქვეყნებს, რომლებშიც აღიარებულია ან პირიქით არ აღიარებენ ერთსქესიანთა ქორწინებას, რადგან კონკრეტული საკითხი 21-ე საუკუნეში უფრო მეტ აქტუალობას იძენს და ინტერესსაც იწვევს საზოგადოების მხრიდან.

სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს, აგრეთვე იმ სასამართლო პრაქტიკას, რაც აგრეთვე მნიშვნელოვანია ნებისმიერი ქვეყნის საკანონმდებლო ისტორიისათვის. სასამართლო პრაქტიკა შეეხება განქორწინებასთან დაკავშირებულ საკითხებს, აგრეთვე შეიძლება იყოს ეს მეუღლეთა თანაცხოვრების პერიოდში შეძენილი ქონების გაყოფასთან დაკავშირებული საკითხები, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია სასამართლო რა ნორმას გამოიყენებს და როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს. რაც ყველაზე

საინტერესოა ეს გადაწყვეტილებები შეეხება აგრეთვე ქორწინების ხელშეკრულებასაც, ეს იქნება განქორწინების შემდგომ დადებული კონტრაქტი თუ სხვა, და აგრეთვე მნიშვნელოვანია ნაშრომში განხილული სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება უცხო ქვეყნის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულების საკითხებს.

ნაშრომის ბოლოს გაკეთებული იქნება დასკვნა, რომელიც შეაჯამებს ნაშრომის პერიოდში განხილულ პრობლემატურ საკითხებსა და მათი მოგვარების გზებს.

სწორედ ეს გახლავთ ნაშრომის მიზანი, რომ უკეთ წარმოაჩინოს ქორწინებასა და განქორწინებასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები და რეკომენდაციები გამოავლინოს უცხო ქვეყნის მაგალითებზე დაყრდნობით.

შესავალი

ოჯახი ისეთი სოციალური ფენომენია, რომელიც არ ჰგავს სხვა ურთიერთობებს, არცერთ სხვა საზოგადოებრივ ურთიერთობას არ გააჩნია ისეთი რთული ფორმა როგორიც ქორწინება და ოჯახია.

ოჯახი ადამიანთა ერთობლიობაა, რომელიც სოციალურად ორგანიზებულ წარმონაქმნს განასახიერებს. მისი შექმნის საფუძველს წარმოადგენს ქორწინება, ამიტომ ცოლ-ქმარი პირველ ეტაპზე მიეკუთვნებიან ოჯახის წევრებს. მათ შორის ჩამოყალიბებულ ურთიერთობას რა თქმა უნდა მოჰყვება შვილების გაჩენა, რაც უფრო დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს ქონებრივი, მატერიალური, თუ მორალური კუთხით. სწორედ ამიტომ, მშობლებსა და შვილებს შორის წარმოქმნილი ურთიერთობები ქმნიან საოჯახო ურთიერთობათა ბადეს, რომელიც შემდგომ უკვე ძირითად საყრენად, ოჯახის ბირთვად გადრდაიქმნება.

სამართლებრივად რომ ვიმსჯელოთ, ოჯახი არის მასში შემავალი თითოეული წევრის იურუდიული კავშირი, რომელიც სამართლებრივი ნორმებით რეგულირდება. მაშასადამე ოჯახი არის იმ პირთა წრე, რომლებიც ერთმანეთთან არიან კავშირში ქორწინებით, ან აკავშირებთ ნათესაური კავშირი, ოჯახში შესაძლოა ითვლებოდეს აღმზრდელი, რომელსაც აკავშირებს აღმზრდელობითი ურთიერთობა აღსაზრდელთან, ეს არის სამართლებრივი გაგებით ოჯახის ცნება. ფართო გაგებით სამართალი არეგულირებს პირად და არაქონებრივ ურთიერთობებს რომლებიც წარმოშობილია ოჯახის წევრთა შორის, რომელსაც რა თქმა უნდა წარმოშობს ოჯახის ყოველდღიურობა, და სწორედ ამ ყოველდღიურობის ხარჟზე ცნდება ქონებრივი და არაქონებრივი ანუ პირადი ურთიერთობები.

დღეის მდგომარეობა რომ გავითვალისწინოთ, ნათელი ფაქტია, რომ საქართველოს კერძო სამართალში, განსაკუთრებით კი საერთაშორისო კერძო სამართალში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მეუღლეთა შორის ქონებრივი ურთიერთობების დარეგულირებას, რასაც ქორწინება უდევს საფუძვლად. ქორწინება საერთაშორისო კერძო სამართლის ერთ-ერთი

უძველესი ინსტიტუტია, რომელიც აერთიანებს ქალსა და მამაკაცს, რათა შექმნან ოჯახი. მაშასადამე ქორწინება ქალის და მამაკაცის კავშირია, რომელიც აუცილებელია იყოს რეგისტირებული სახელმწიფო ორგანოში, ისევე როგორც ეს ესაჭიროება ნებისმიერ სხვა სამართლებრივ კავშირს, კერძოდ იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრში. სხვა შემთხვევაში ქორწინება არ ჩიათვლება რეგისტრირებულას, არ ექნება მას იურიდიული მნიშვნელობა და ძალა.

უნდა აღინიშნოს, რომ ქორწინება პირდაპირ არის დაკავშირებული სახელმწიფოთა ტრადიციებთან. ამის მიხედვით თითოეულ ქვეყანაში განსხვავებული წესი არსებობს ქორწინების.რეალურია იმის აღქმა, რომ მუსლიმურ ქვეყნებში ქორწინება დიდად განსხვავდება ევროპის სხვა ქვეყნებში ქორწინებისაგან.

ყოველივე ამასთან დაკავშირებით ვფიქრობ საინტერესო იქნება უცხო ქვეყნების კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა და ქართულ კანონმდებლობასთან მისი შესაბამისობა. აქედან გამომდინარე ნაშრომში განხილულ იქნება ისეთი საკითხები, როგორიცაა ქორწინების და განქორწინების წესი, პირობები, ქორწინებისა და განქორწინების შედეგები, საქართველოსა და უცხო ქვეყნის სასამართლო პრაქტიკა და ქორწინების საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობა-აღსრულების საკითხები საქართველოში.

თემის განხილვისას გამოყენებული იქნება როგორც შედარებითი-სამართლებრივი, ასევე ანალიზის და სინთეზის მეთოდები.

შედარება მოხდება უცხო ქვეყნის და საქართველოს კანონმდებლობასთან. მაგალითად თუ რამდენად შესაბამისობაშია საქართველოს და გერმანიის კანონმდებლობა ერთმანეთთან ქორწინებისა და განქორწინების კუთხით, ან რამდენად განსხვავდება ისინი ერთმანეთისაგან, და წარმოჩენილი იქნება ის კონკრეტული განსხვავებები რაც შეიძლება არსებობდეს აღნიშნულ კანონდებლობებს შორის. ნაშრომში განხილული იქნება არა მხოლოდ

გერმანიის არამედ კიდევ რამდენიმე უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შედარება საქართველოს კანონდებლობასთან.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საერთაშორისო საოჯახო ურთიერთობებთან გვაქვს საქმე, როდესაც ამ ურთიერთობებში მონაწილეობს უცხო ქვეყნის მოქალაქე, ეს ნიშნავს, რომ მონაწილეთაგან ერთ-ერთი მაინც არის უცხო ქვეყნის მოქალაქე, ან არსებობს ისეთი შემთხვევაც, როდესაც ამ კონკრეტულ ურთიერთობაში მონაწილეებს არ გაჩნიათ არცერთი ქვეყნის მოქალაქეობა და ცხოვრობენ სხვა ქვეყანაში.

აღნიშნულ ნაშრომში გამოიყოფა ორი მთავარი პრინციპი, ერთი ეს არის - დაქორწინების და განქორწინების უფლება ,,საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად", რაც რა თქმა უნდა მოიცავს საქართველოს ,,საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" კანონს და მეორე ეს არის საოჯახო ურთიერთობებში ისეთივე უფლება-მოვალეობების არსებობა, როგორიც გააჩნია საქართველოს მოქალაქეებს. დასაქორწინებელ პირებზე მოქმედებს იმ ქვეყნის კანონმდებლობა რომელი ქვეყნის წარმომადგენელიც არის თითოეული მათგანი, თუმცაღა ეს ხშირად სადავო საკითხი ხდება, წყვილები ვერ იგებენ თუ რომელი ქვეყნის სამართალს უნდა დაეყრდნონ და ამის გამო ხშირად ხვდებიან გაურკვევლობაში, რის შედეგადაც წამოიჭრება შემგომში უკვე პრობლემური საკითხები სამართლებრივი გაგებით მეუღლეთა შორის.

ნაშრომში აგრეთვე განხილულ იქნება საქართველოსა და უცხო ქვეყნების სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები ქორწინებასა და განქორწინებასთან დაკავაშირებული დავების მხრივ.

ნაშრომი შედგება შესავლის, 4 თავის, პარაგრაფებისა და დასკვნისაგან.

შესავალში ძირითადად იქნება ზოგადი მიმოხილვა ნაშრომის თავისებურებების, პრობლემური საკითხების შესახებ რაც მოცემული იქნება ნაშრომში, ამასთან პირველი თავი ეხება: ქორწინებისა და განქორწინების სუბიექტებს, განქორწინების წესს და ფორმასთან დაკავშირებულ საკითხებს. განხილულ იქნება თუ რომელ ქვეყანაში როგორ ხდება ქორწინება და

განქორწინება. მეორე თავი მოიცავს ისეთ საკითხებს როგორიცაა, მეუღლეთა შორის წარმოშობილი ურთიერთობები, ეს იქნება ქორწინების შეწყვეტა, თუ ქორწინების შედეგები. მესამე თავში საუბარი იქნება საქორწინო კონტრაქტის შესახებ, საქორწინო კონტრაქტის მნიშნველობა და ის დადებითი თუ უარყოფითი თვისებები რაც საქორწინო კონტრაქტს გააჩნია. მოყვანილი იქნება ის საკითხები თუ რა საკითხებზეც თანხმდებიან მხარეები საქორწინო კონტრაქტის დადების დროს. კონტრაქტის ვადები და მისი დარღვევის შედეგები. მეოთხე თავი მოიცავს საქართველოსა და უცხო ქვეყნების სამართლევრივ ასპექტებს კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით, ამ შემთხვევაში განხილვა მოხდება უცხო ქვეყნის მაგალითზე ქორწინების, განქორწინების თუ საერთაშორისო ქორწინების შესახებ. ნაშრომის ბოლოს გაკეთებული იქება დასკვნა საკანონმდებლო ცვლილებების აუცილებლობის თაობაზე. დასკვნა იქნება ასევე გამოტანილი იმ პრობლემატური საკითხების მოგვარების გზების თაობაზე, რაც შეეხება კონკრეტულად ქორწინებისა და განქორწინების თემატიკას საერთაშორისო კერძო სამართალში.

თავი I

ქორწინებისა და განქორწინების სუბიექტები საერთაშორისო კერძო სამართალში

§1. ქორწინების წესი და მასთან დაკავშირებული საკითხები

საოჯახო ურთიერთობები ოჯახის წევრებს შორის წარმოიშობა პირადი ან ქონებრივი ურთიერთობების საფუძველზე, რაც ოჯახის წევრებს შორის უფლებების და მოვალეობების განაწილებას გულისხმობს.

მთავარი ფაქტია, რომ საოჯახო სამართლებრივ ურთიერთობათა მონაწილეებს წარმოადგენენ მხოლოდ ფიზიკური პირები, იურიდიული პირები არ არიან საოჯახო ურთიერთობების მონაწილეები. მართალია ალიმენტის გადახდა, ქორწინების რეგისტრაცია, შვილად აყვანა და სხვა საოჯახო ურთიერთობები რეგულირდება მუნიციპალური ორგანოების მიერ, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში წარმოიშობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ან სამოქალაქო პროცესუალურ სამართლებრივი ურთიერთობები და არა საოჯახო სამართლებრივი.

აღსანიშნავია, რომ საოჯახო სამართალში არსებობენ სპეციფიკური სუბიექტები, რომლებიც არიან: მეუღლეები, მშობლები, შვილები, მეურვეები, მზრუნველები, მშვილებლები, და-ძმები და სხვა. თითოეული მათგანი შესაძლებელია იყოს სხვადასხვა საოჯახო ურთიერთობის მონაწილე, რაც საოჯახო ურთიერთობების უნიკალურობაზე მიგვანიშნებს.

საოჯახო სამართლის სუბიექტების უფლებებისა და ვალდებულებების განხილვას თუ შევეხები, უნდა განიმარტოს პირველ რიგში რა არის უფლება. უფლება გვევლინება ამ შემთხვევაში, როგორც საოჯახო სამართლის სუბიექტების ერთ-ერთი ქცევის ზომა, რომელშიც იგულისხმება აქტიური მოქმედებანი, რომლითაც საოჯახო სამართლის სუბიექტების გარკვეული ინტერესების დაკმაყოფილება ხდება.

რაც შეეხება ვალდებულებებს, რომლებიც გააჩნიათ სუბიექტებს ეს არის გარკვეული მითითებების შესრულება ვალდებული პირის მიერ კანონის მოთხოვნათა საფუძველზე. როდესაც ოჯახში უკვე ჩნდება ბავშვი რა თქმა უნდა გარკვეული ვალდებულებები თავისდაუნებურად ვლინდება სუბიექტებს შორის, თუმცა არსებობს აგრეთვე დამატებითი ვალდებულებების აღების შესაძლებლობაც, რომელიც არის ნებაყოფლობითი. ეს შეიძლება იყოს საქორწინო ხელშეკრულების დადების ან ალიმენტის გადახდის თაობაზე შეთანხმების ფაქტები.

აღსანიშნავია, რომ სუბიექტების უფლებების განხორციელება არ უნდა იყოს წინააღმდეგობაში მათ ინტერესებთან. მაგალითად თუ განქორწინების შემდეგ ბავშვი მხოლოდ ერთ მშობელთან ცხოვრობს, მეორე მშობელსაც უნდა მიეცეს შვილის ნახვის უფლება. როდესაც ერთი სუბიექტის უფლებები ნორმაშია მოყვანილი ამით მეორე სუბიექტის ინტერესები არ უნდა ზიანდებოდეს. ძირითადად საოჯახო სამართლის სუბიექტების უფლებების დაცვა ხდება იურისდიქციული ფორმით. ასეთ დროს ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ დაცვის სასამართლო და ადმინისტრაციული წესი. როგორც ყოველთვის უფლებათა დაცვის დროს გამოიყენება სასამართლო წესი, თუ რა თქმა უნდა კანონში არ არის მითითება ადმინისტრაციულ წესსზე. რაც შეეხება ადმინისტრაციულ წესს, ეს წესი ძირითადად გამოიყენება მეურვეობის და მზრუნველობის საკითხებზე დავების გადაწყვეტის დროს.

რაც შეეხება ქმედუნარიანობას, იგი საოჯახო ურთიერთობებში სრული მოცულობით წარმოიშობა 18 წლის ასაკიდან, თუმცა თუ კანონმდებლობის დაცვით არის არასწრულწლოვანი დაქორწინებული, იგი მაინც შეძლებს საოჯახო უფლება-მოვალეობების განხორციელებას. [1]

საყრადღებოა ის ფაქტი, რომ ქორწინების წესისა და პირობების განსაზღვრისას დიდ როლს ასრულებს რელიგიური და წესჩვეულებითი

---

[1] რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია - საოჯახო სამართალი. (თბილისი 2011) თავი 2 საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობანი, §2,3 საოჯახო სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტები და მათი ინტერესების დაცვა. გვ.47

ურთიერთობები. მაგალითად იაპონიის სამოქალაქო კოდექსის 733-ე მუხლის თანახმად ქალს არ შეუძლია მეორედ დაქორწინება მამაკაცზე, თუ პირველი ქორწინების შემდეგ გასული არ იქნება 6 თვე. აგრეთვე, ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში ქორწინება ბათილია, თუ არსებობს ამ ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებანი, მაგალითად თუ გაუქმებული არ არის წინა ქორწინება.[2]

რაც შეეხება უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, მოქალაქეობის არმქონე პირებს აქვთ ისეთივე უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა, როგორიც აქვთ საქართველოს მოქალაქეებს. თუმცა ამ წესიდან გამონაკლისი დაიშვება, როდესაც უცხო ქვეყანაში მოქმედებს საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებების შემზღუდველი ნორმები. ამისთვის საჭიროა კანონით ნათლად განსაზღვრული ნორმა არსებობდეს.[3]

კონტინენტური ევროპის ქვეყნების უმრავლესობა უცხოელთა ქორწინების დროს, მოითხოვს, რომ იმ ქვეყნის სახელმწიფო ორგანოს, სადაც ისინი აპირებენ დაქორწინებას, წარუდგინონ ცნობა, იმის თაობაზე,რომ ისინი თავიანთ ქვეყანაში უკვე არ იმყოფებიან ქორწინებაში და ამასთანავე არ არსებობს ამ კონკრეტული ქორწინებისთვის დამაბრკოლებელი გარემოებები.[4]

ოჯახის შექმნის ყველაზე გავრცელებულ და უძველეს საფუძველს ქორწინება წარმოადგენს, რომელიც არის ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი,რომელიც უნდა იყოს რეგისტრირებული.[5]

---

[2] ზვიადგაბისონია - ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, თბილისი 2006. - თავი 4 საერთაშორისო საოჯახო სამართალი, §1. ქორწინების წესი და პირობები, ქორწინების ფორმა საერთაშორისო კერძო სამართალში. გვ.291

[3] საქართველოს კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ - 1998 წელი - NN19-20 - (თავი III, მუხლი 21 - კანონის წინაშე თანასწორობა)

[4] ზვიადგაბისონია - ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, თბილისი 2006. - თავი 4 საერთაშორისო საოჯახო სამართალი, §1. ქორწინების წესი და პირობები, ქორწინების ფორმა საერთაშორისო კერძო სამართალში. გვ.302

[5] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი - (წიგნი მეხუთე - საოჯახო სამართალი. კარი პირველი-ქორწინება. თავი პირველი-ქორწნების წესი და პირობები. მუხლი 1106-ქორწინების ცნება)

ქორწინებასთან დაკავშირებული ურთიერთობები არის პირადი არასამეწარმეო და ქონებრივი ხასიათის, რომლებიც დამოკიდებულია ნათესაობის ურთიერთობებზე და რომელიც სამოქალაქო საზოგადოების კანონმდებლობით რეგულირდება. თუმცა რამდენად გასაკვირიც არ უნდა იყოს ბევრ ქვეყანაში არ არსებობს ოჯახის კანონი, როგორც დამოუკიდებელი კომპონენტი და მთლიანად ოჯახური ურთიერთობები სამოქალაქო სამართალს მართავს, ასეთი ქვეყნებია მაგალითად გერმანია და შვეიცარია.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ როგორც ზემოთ განვმარტე ქორწინება არის ქალისა და მამაკაცის კავშირი, რომელიც მიზნად ოჯახის შექმნას ისახავს, ქორწინების ასეთი განმარტება ყველა სახელმწიფოს უფლებას არ შეესაბამება, მაგალითად არსებობს ქვეყნები, რომელთა კანონმდებლობაც ითვალისწინებს ერთსქესიანთა ქორწინებას.[6]და წესით მათის მიუღებელია ქორწინების ცნებაში მხოლოდ ქალისა და მამაკაცის მოხსენიება.

ქორწინება არის ოჯახის მსგავსად რთული ფენომენი, რომელიც უნდა დამყარდეს ქალის და მამაკაცის ურთიერთპატივისცემასა და სიყვარულზე. უნდა აღინისშნოს რომ ქორწინება ქალისა და მამაკაცის სამართლებრივი კავშირიცაა, რადგან ქორწინებასთან დაკავშირებულ უმნიშვნელოვანეს საკითხებს სამართლებრივი ნორმები არეგულირებს. მნიშნველოვანია ის ფაქტი, რომ ქორწინება მხოლოდ მაშინ წარმოშობს მეუღლეობრივ უფლებამოვალეობას, როდესაც ხდება მისი სახელმწიფო რეგისტრაცია.

როდესაც პირები გადაწყვეტენ დაქორწინებას, მნიშვნელოვანია გაითვალისწინონ, რომ ქორწინება დაიშვება 18 წლის ასაკიდან, რაც გულისხმობ, რომ აუცილებელია მექორწინეები იყვნენ 18 წელს მიღწეულნი და შესაბამისად გათვალისწინებულ იქნებს საქორწინო ასაკი. სხვაგვარად მეუღლეთა ქორწინების რეგისტრაცია ვერ მოხდება.

[6] Реферат: Брак в международном частном праве, (Глава 1. Общая характеристика правового регулирования брачно-семейных отношений в международном частном праве, 1.1 Понятие брачно-семейных отношений в международном частном праве, страница 5-6)

უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ საქორწინო ასაკი სხვადასხვა ქვეყნებში სხვაგვარად რეგულირდება. ათეულობით ქვეყანაში მინიმალურ საქორწინო ასაკად დადგენილია 12 წელი. ზოგიერთ ქვეყანაში საერთოდ არ არის საქორწინო ასაკი განსაზღვრული. საფრანგეთში საქორწინო ასაკს ქალებისთვის წარმოადგენ 15 ხოლო მამაკაცებისთვის 18 წელი. რაც შეეხება ინგლისში საქორწინო ასაკია როგორც ქალებისთვის აგრეთვე მამაკაცებისთვისაც 16 წელი. გერმანიაში დადგენილია 18 წელი საქორწინო ასაკი ორივე მექორწინესათვის. თუმცა შესაძლებელია მშობლების თანხმობით შეიცვალოს, გაიზარდოს ან შემცირდება საკორწინო ასაკი.[7]

სახელმწიფოებს აქვთ გარკვეული პირობები რომლების გარეშეც ქორწინებას ვერ ექნება იურიდიული ძალა, მაგალითად ეს ეხება ქორწინების რეგისტრაციას, მასთან დაკავშირებულ პროცედურებს, და რაც ყველაზე მთავარია თანხმობა. თანხმობა არის სავალდებულო ფაქტორი, თუ მექორწინეთაგან ერთ-ერთი არ არის თანახმა ასეთი გარემოება ხელს შეუშლის ქორწინების რეგისტრაციას. ევროპის ქვეყნების და ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობის თანახმად ,,არ არსებობს ქორწინება, თუ არ არსებობს თანხმობა“ თუმცა ზოგიერთი ქვეყანა ნაკლებად იზიარებს ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას. ამ ქვეყნებში დასაშვებია ქორწინება, თუ ერთი მხარე არ არის თანახმა ასეთ შემთხვევაშიც. მაგალითად ინდოეთში მუსულმანი ქალი შეიძლება დააქორწინონ თავისი თანხმობის გარეშე.[8]

გერმანიაში დაუშვებელია ქორწინება სრულწლოვანების ასაკის მიღწევამდე, თუმცა საოჯახო საქმეთა სასამართლოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება განცხადების საფუძველზე და აღნიშნული დანაწესისაგან გაათავისუფლოს

[7] რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია - საოჯახო სამართალი. (თავი 3ქორწინების წესი და პირობები, §3,1 ქორწინების ცნება და შინაარსი გვ. 74)

[8] Правовое регулирование заключения юбрака в международном семейном праве: праблемы и реалии ,Н. С. Байбороша , страница 206.

პირი, თუ განმცხადებელმა მიაღწია 16 წლის ასაკს და მისი მომავალი მეუღლე სრულწლოვანია.[9]

აგრეთვე დაუშვებელია თუ ერთი პირი არ არის ქორწინებაზე თანახმა მათი დაქორწინება. და მეტად რთულ საკითხთან გვიწევს შეჭიდება, როდესაც საქმე ეხება შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის ქორწინებას. ასეთ დროს ქორწინება დაიშვება მხოლოდ მზრუნველის წინასწარი წერილობითი თანხმობით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებსაც, რომლის დროსაც არ დაიშვება ქორწინება. მაგალითად თუ ერთი პირი უკვე იმყოფება სხვასთან ქორწინებაში, აგრეთვე პირდაპირ აღმავალი ან დაღმავალი შტოს ნათესავებს შორის , აგრეთვე და-ძმას შორის, არ აქვს მნიშნველობა ისინი არიან თუ არა არიან ბიოლოგიური და-ძმა.

თუ ქალისა და მამაკაცის კავშირი რეგისტრირებული არ არის ადმინისტრაციულ ორგანოში, მაშინ ეს კავშირი არ ითვლება ქორწინებად, და იგი მხოლოდ წარმოადგენს ქალისა და მამაკაცის თანაცხოვრებას.

გერმანიის კანონმდებლობის თანახმად პირს რომელიც ქმედუუნაროა არ შეუძლია დაქორწინება.

საქართველოს კანონმდებლობის მსგავსად გერმანიის კანონმდებლობაშიც არსებობს თითქმის იგივე აკრძალვები ქორწინებასთან დაკავშირებით. მაგალითად თუ ქორწინება უკვე არსებობს დაქორწინების მსურველ პირსა და მესამე პირს შორის, მაშინ ქორწინება არ შედგება. აგრეთვე დაუშვებელია ქორწინება პირდაპირი ხაზის ნათესავებს შორის, ისევე როგორც და-ძმებსა და ნახევარ და-ძმებს შორის. [10]

ზოგადად ქორწინების პირობები საერთაშორისო კერძო სამართალში წარმოდგენილია შემდეგი სახით, რომ ქორწინების პირობები თითოეული დასაქორწინებელი პირისათვის იმ ქვეყნის სამართალს ექვემდებარება,

---

[9] გ ე რ მ ა ნ ი ი ს ს ა მ ო ქ ა ლ ხ ქ ო კ ო დ ე ქ ს ი (2010 წ ლ ს 1მ ა რ ტ ი ს მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ი თ) თ ბ ი ლ ს ი 2010 - (ტ ი ტ უ ლ II- და ქ ო რ წ ი ნ ე ბ ა , ქ ვ ე ტ ი ტ უ ლ I - და ქ ო რ წ ი ნ ე ბ ა უ ნ ა რ ი ა ნ ო ბ ა .§1303 - ს ა ქ ო რ წ ი ნ ო ა ს ა კ ი)

[10] გ ე რ მ ა ნ ი ი ს ს ა მ ო ქ ა ლ ხ ქ ო კ ო დ ე ქ ს ი -(2010 წ ლ ს 1 მ ა რ ტ ი ს მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ი თ) თ ბ ი ლ ს ი 2010- (წ ი გ ნ ი IV , ტ ი ტ უ ლ II და ქ ო რ წ ი ნ ე ბ ა , ქ ვ ე ტ ი ტ უ ლ II - და ქ ო რ წ ი ნ ე ბ ი ს ა კ რ ძ ა ლ ვ ე ბ ი , §1306, §1307)გ ვ . 242

რომელი ქვეყნის სამართალსაც განეკუთვნება ეს დასაქაორწინებელი პირი. ქვეყანაში სადაც განხორციელდა ქორწინება, განისაზღვრება ქორწინების ფორმის საკითხებიც ამავე ქვეყანაში საკუთარი სამართლის თანახმად. რაც შეეხება ქორწინების შედეგებს იმ ქვეყნების სამართალს მიეკუთვნება რომელი ქვეყნის წარმომადგენლებიც არიან მეუღლეები ცალ-ცალკე, რომელ ქვეყანასთანაც მეუღეები ყველაზე მჭიდრო კავშირში იმყოფებან.

რაც შეეხება ლტოლვილებს, მათ შეუძლიათ აირჩიონ იმ ქვეყნის სამართალი რომელთანაც უკვე ერთობლივ კავშირში იმყოფებიან ყველაზე ხშირად მეუღლეები.[11]

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად ქორწინება ფორმდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დასაქორწინებელი პირები განაცხვადებენ რეგისტრატორის წინაშე, რომ მათ სურთ დაქორწინება. ასეთ შემთხვევაში რეგისტრატორს არ შეუძლია უარი განაცხადოს წყვილის დაქორწინებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ იგი შეამჩნევს, რომ ეს ქორწინება კანონმდებლობის საწინააღმდეგო იქნებოდა, ანუ ვთქვათ არ დაემთხვევა საქორწინო ასაკი ან სხვა გარემოება. ქორწინება ითვლება აგრეთვე რეგისტრირებულად, თუ პირებმა განაცხვადეს რომ მათ სურთ რეგისტრაცია, და რეგისტრატორმა ეს ქორწინება გაატარა ქორწინებათა რეესტრში. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი აგრეთვე გვამცნობს, რომ დაქორწინების შესახებ განცხადება პირებმა უნდა გააკეთონ ერთად და არ შეიძლება ეს განცხადება გაკეთდეს რაიმე ვადის დადგენით ან პირობით. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §1313 ითვალისწინებს აგრეთვე ქორწინების ცერემონიალსაც, რომლის თანახმად, ქორწინების გაფორმებისას რეგისტრატორმა თითოეულ დასაქორწინებელ პირს უნდა ჰკითხოს სურთ თუ არა მათ ერთმანეთთან დაქორწინება და ამ კონკრეტულ კითხვაზე დადებითი პასუხის გაცემის შემდეგ გამოაცხადებს რეგისტრატორი, რომ წყვილი ამიერიდან არიან კანონის ძალით მეუღლეები.

[11] საქართველოს კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ - 1998 წელი - NN19-20- (თავი VII საოჯახო სამართალი, მუხლი 44, მუხლი 45)

ქორწინების გაფორმება შესაძლებელია მოხდეს შემდგომ უკვე ორი მოწმის თანდასწრებით, თუ რა თქმა უნდა ეს სურთ მეუღლეებს.[12]

§2. განქორწინება და მისი შედეგები

საოჯახო სამართლიდან გამომდინარე დავები არის ძალიან მრავალფეროვანი და ის მოიცავს ისეთ საკითხებს როგორიცაა განქორწინება, ქორწინების ბათილად ცნობა, მეუღლეთა ქონების გაყოფასთან დაკავშრებული და სხვა საკითხები. ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ განქორწინებაზე. ქორწინების შეწყვეტის ერთ-ერთ საფუძველს რომ განქორწინება წარმოადგენს ეს უკვე სიახლე არ არის, ამიტომ თუ მეუღლეებს შორის განქორწინებას მოჰყვება დავა მაშინ მათ შორის განქორწინება ხდება სასამართლო წესით, სხვა შემთხვევაში მეუღლეთა შორის განქორწინებას ახდენს რეგისტრაციის ორგანო.[13] როგორც უკვე აღვნიშნე ერთია როდესაც მეუღლეები დაობენ, ამ შემთხვევაში ორივე თანახმაა და შეაქვთ ერთობლივი განცხადება განქორწინების შესახებ და მეორეა, როდესაც განქორწინებას ითხოვს ერთ-ერთი მეუღლე, ოღონდ ითხოვს რა თქმა უნდა კანონის შესაბამისად. თუმცაღა ამ შემთხვევაშიც აღსანიშნავია ერთი ფაქტი, რომელსაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1123-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ თუ მეუღლე არის ორსულად, ან ბავშვი არ შესრულებულა ჯერ ერთი წლის, ასეთ შემთხვევაში ქმარს უფლება არ აქვს ცოლის თანხმობის გარეშე აღძრას სასამართლოში საქმე და დაიწყოს განქორწინების პროცედურა.

---

[12] გ ე რ მ ა ნ ი ი ს ს ა მ ოქ ა ლ ქ ო კ ოდ ე ქ ს ი (2010 წ ლ ს 1 მ ა რ ტ ი ს მ დ გ ომ ა რ ე ობ ი თ) თბ ი ლ ს ი 2010 - §1313

[13] http://legalaid.ge/ka/services/182/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9D%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98 - ს ა ოჯ ა ხ ო ს ა მ ა რ თ ა ლ ი

აგრეთვე გვაქვს პირის უგზო-უკვლოდ დაკარგვის შემთხვევებიც, როდესაც მეორე მეუღლეს განქორწინების უფლება სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაყვეტილების გამოტანის დღიდან წარმოეშობა.

როდესაც ერთ-ერთი მეუღლე სარეგისტრაციო ორგანოში ითხოვს განქორწინებას, მან განცხადებასთან ერთად უნდა წარადგინოს სასამართლოს განაჩენიც.

კანონი სპეციალურად ამახვილებს აგრეთვე ყურადღებას გარდაცვლილი ან დაკარგული პირის დაბრუნებისას ქორწინების აღდგენის საკითხზე. თუ არსებობს შემთხვევა, როდესაც დაბრუნდება გარდაცვლილად გამოცხადებული მეუღლე, და თუ ორივე მეუღლე განცხადებით მიმართავს სარეგისტრაციო ორგანოს, შესაძლებელია მოხდეს მათი ქორწინების აღდგენა.

რაც შეეხება საერთაშორისო კერძო სამართალში განქორწინების წესს, განქორწინება ექვემდებარება იმავე ქვეყნის სამართალს რომელიც გამოიყენება ქორწინების ზოგადი შედეგების მიმართ. თუ არსებობს განქორწინების შემაფერხებელი, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ დამაბრკოლებელი გარემოება უცხო ქვეყნის სამართლის შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ეს შეიძლება შესაძლებელი აღმოჩნდეს, თუ მეუღლეთაგან ერთ-ერთი საქარველოს მოქალაქეა, ან ქორწინებისას იყო საქართველოს მოქალაქე,თუმცა ახლა აღარ აქვს საქართველოს მოქალაქეობა[14].

ყურადღება უნდა გავამახვილოთ აგრეთვე ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიცაა მხარეთა შეთანხმება სასამართლოების საერთაშორისო განსჯადობაზე. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ როდესაც საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს შიდა კომპეტენციას და ამ დროს საქმის აღძვრა სხვა ქვეყანაში შეუძლებელია, ასეთ დროს საქართველოს იმ ტერიტორიაზე, რომელზეც უცხო ქვეყნის მოქალაქეს ჰქონდა საბოლოო

[14] ს ა ქ ა რთვ ე ლოს კ ა ნ ონ ი ს ა ე რთა შ ორ ი ს ო კ ე რძ ო ს ა მ ა რთლ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ - 1998 წ ე ლ - NN19-20 - (თა ვ ი VII ს ა ოჯ ა ხ ო ს ა მ ა რთა ლ ი , მ უხ ლ 47.)

საცხოვრებელი ადგილი ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი, ამ კონკრეტულ ადგილას არსებულ სასამართოს გააჩნია კომპეტენცია.[15]

საქართველოს კანონის ,,საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" მე-18 მუხლი ითვალისწინებს შეთანხმებებს საერთაშორისო კომპეტენციის თაობაზე : ,,საქართველოს სასამართლოებს აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია, თუ მოპასუხე სასამართლოს კომპეტენტურობაზე პროტესტის გარეშე თანხმდება პროცესში მონაწილეობაზე, მიუხედავად იმისა, რომ: ა) მოპასუხე წარმოდგენილია ადვოკატის მიერ; ბ) მოსამართლემ შეატყობინა მოპასუხეს პროტესტის განცხადების შესაძლებლობაზე და ეს შეტყობინება დაფიქსირებულია საქმის წარმოების ოქმში".[16]

არსებობს შემთხვევები, როდესაც აღმოჩნდება, რომ ქორწინება მიზნად არ ისახავდა არც ოჯახის შექმნას და არც მის რეგისტრაციას, ასეთ შემთხვევაში შეიძლება სასამართლომ ეს ქორწინება ცნოს ბათილად.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსიც ითვალისწინებს, რა თქმა უნდა , ქორწინების გაუქმებას. ქორწინების გაუქმება სასამართლოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია, მხოლოდ განცხადების საფუძველზე. როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილება შევა ძალაში, ამ დროიდან ქორწინება ითვლება გაუქმებულად. გერმანელებს კონკრეტულად აქვთ დასაბუთებული ის შემთხვევები, თუ რა შემთხვევის გამო შეიძლება გაუქმდეს ქორწინება, ეს არის ვთქვათ ის ფაქტი, რომ მეუღლემ არ იცოდა ქორწინების გაფორმების მომენტში, რომ საქმე შეეხებოდა ნამდვილად ქორწინების გაფორმებას, ან არსებობს ისეთი შემთხვევა, როდესაც მეუღლე დაიყოლიეს ქორწინებაზე ისეთი ვითარების გაუმხილველობის, ან შეცდომაში შეყვანის გზით, რომლის გაგების შემთხვევაშიც იგი თავს

---

[15] საქართველოს კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ - 1998 წელი - NN19-20- (თავი II საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენცია, მუხლი 17)

[16] საქართველოს კანონი ,,საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ'' – 1998 წელის - NN19-20- (თავი II საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენცია, მუხლი 18 შეთანხმებების საერთაშორისო კომპეტენციის თაობაზე, ნაწილი 2)

შეიკავებდა ქორწინებისაგან. ან ვთქვათ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს, მეუღლის მუქარით დაყოლიებასაც ქორწინებაზე. [17]

მეცნიერების აზრით განქორწინების მთავარი საფუძველი და მეუღლეების მიერ ქორწინების შეწყვეტისაკენ სწრაფვა დემოგრაფიული ფაქტორით არის გამოწვეული. რელიგია უდიდეს როლს თამაშობს კონკრეტული პრობლემების მოგვარების საკითხში, აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ კონკრეტულ ქვეყნებში შესაძლებელია სწორედ რელიგია იყოს გადამწყვეტი განქორწინების საკითხების მოწესრიგების კუთხით.[18]

ყოველივე ზემოთ განხილული საკითხებიდან გამომდინარე, უმნიშვნელოვანეს ფაქტორად მიმაჩნია ზოგიერთი სახელმწიფოს კანონმდებლობის გარკვეული ელემენტები, რომლებიც არ ითვალისწინებენ ქორწინების შეწყვეტას, ესენია ფილიპინები და ვატიკანის სახელმწიფო. აგრეთვე მალტაში ჩატარდა 2011 წელს რეფერენდუმი, სადაც მოსახლეობის 53%-მა მხარი დაუჭირა განქორწინების ლეგალიზაციას, თუმცა განქორწინება მოხდება იმ შემთხვევაში, თუ წყვილი დაამტკიცებს, რომ უკვე 4 წლის განმავლობაში ისინი არ ცხოვრობდნენ ერთად.[19]

რაც შეეხება სასამართლო გადაწყვეტილებას, საყურადღებოა უცხო ქვეყნის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა აღსრულების საკითხი. ერთ-ერთი გადაწყვეტილების თანახმად, რომელზედაც განაჩენი გამოტანილ იქნა ჩეხეთის რესპუბლიკის, პრაღის მე-10 რაიონული სასამართლოს მიერ 2006 წლის 17 მაისს. განხილული არის მეუღლეთა განქორწინების საკითხი. 1998 წლის 6 თებერვალს, პრაღის მე-4 რაიონულ განყოფილებაში, რეგისტრირებული ქორწინება განქორწინებით შეწყდა. ერთ-ერთმა მეუღლემ მიმართა

---

[17] გ ე რ მ ა ნ ი ი ს ს ა მ ო ქ ა ლ ხ ქ ო კ ოდე ქ ს ი (2010 წ ლ ი ს 1 მ ა რ ტ ი ს მ დ გ ომ ა რ ე ობ ი თ) თბ ი ლ ი ს ი 2010 - (ტ ი ტ უ ლ III - ქ ო რწ ი ნ ე ბ ი ს შ ე წ ყ ვ ე ტ ა , §1313 §1314) გ ვ .243, გ ვ .244.

[18] Международная унификация права, регулирующего заключение и прекращение брака, Год: 2003, страница 4-5.

[19] Н. С. Анцух сравнительное и международное семейное право – минск 2015 (глава 3 расторжение брака в сравнителном и международном семейном праве, 3.1. Основания и порядок расторжения бракав сравнительном и международном семейном праве) страница 77.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ამ გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა, რაც უზენაესმა სასამართლომ დააკმაყოფილა. ამ შემთხვევაში სასამართლომ იხელმძღვანელა, ,,საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის შესაბამისად.[20] რადგან საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის მიერ ძალაში შესულ კანონიერ გადაწყვეტილებას.[21]

მნიშვნელოვანია, აგრეთე საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების ცნობა აღსრულების საკითხები. აშშ-ის ნიუ-ჯერსის სასამართლომ 2006 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მეუღლეთა შორის არსებული ქორწინება გაუქმებულად ცნო. ამის შემდგომ ერთ-ერთი მეუღლის წარმომადგენელმა საქართველოს უზენაეს სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით და მოითხოვა ამ გადაწყვეტილების ცნობა-ღსრულება საქართველოს ტერიტორიაზე, და აგრეთვე საქართველოში არსებული ქონების მეუღლესთან გაყოფის ნაწილში მიღებული გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებას. კონკრეტული შუამდგომლობა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა გადაწყვეტილების ცნობა აღსრულების ნაწილში, ხოლო რაც შეეხება ქონების გაყოფის შესახებ საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას სასამართლომ ამ ნაწილში არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა. სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს კანონის ,,საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ 68-ე და 71-ე მუხლების შესაბამისად და დაადგინა, რომ არ არსებობს მითითებული გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევის საფუძველი, რადგან გადაწყვეტილების აღსასრულებლად აუცილებელია , რომ უცხო ქვეყნის გადაწყვეტილება შეესაბამებოდეს საქართველოს კანონის ,,საერთაშორისო

[20] http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx - ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № ა -86-შ -4-2019 , ს ა ოჯ ა ხ ო ს ა მ ა რ თ ლ ე ბ რ ი ვ ი დ ა ვ ა , მ ე უ ღ ლ ე თ ა გ ა ნ ქ ო რ წ ი ნ ე ბ ი ს თ ა ო ბ ა ზ ე .

[21] ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ს ო კ ა ნ ო ნ ი ,,ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო კ ე რ ძ ო ს ა მ ა რ თ ლ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ “- 1998 წ ე ლ ი - NN19-20 -(მ უ ხ ლ ი 68, ნ ა წ ი ლ ი 1)

კერძო სამართლის შესახებ“ 68-ე მუხლის კონკრეტულ დათქმებს, რასაც სასამართლოს განმარტებით კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი აქ ჰქონია. [22] მაგალითად შესაძლებელია გადაწყვეტილება ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს.[23]

საყურადღებოა აგრეთვე საბერძნეთის, ქ.ათენის პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება მეუღლეთა განქორწინების თაობაზე. ამის შემდგომ ერთ-ერთმა მეუღლემ მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით, და მოითხოვა ან გადაწყვეტილების საქართველოს ტერიოტორიაზე ცნობა-აღსრულება. სასამართლომ დაადგინა, რომ ეს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული, რომლის განხილვის პროცესშიც ორივე მხარე მონაწილეობდა. სასამართლომ იხელმძღვანელა ,,საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 69-ე მუხლის შესაბამისად და დაადგინა, რომ უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის შესახებ განქორწინების საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება სავალდებულოა. ამის გათვალისწინებით სასამართლომ შუამდგომლობა დააკმაყოფილა.[24]

§3. ქორწინების ბათილობა და მისი თანმდევი პროცესები

განქორწინებისაგან განსხვავებით, რომელიც შემდგომში საოჯახო სამართლებრივ ურთიერთობების შეწყვეტას ედება საფუძვლად, ქორწინების შეწყვეტას უკუქცევითი ძალა გააჩნია. იგი მეუღლეთა შორის

[22] სასამართლო გადწყვეტილება - №ა -3666-ს -100-2016 - საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალტა , 31 ივლისი, 2017 წ., ქ. თბილისი (განქორწინება - განჩინება საქართველოს სახელით)

[23] საქართველოს კანონი ,, საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ _1998 წელი - NN19-20- (მუხლი 68 - ნაწილი 2, ქვეპუნქტი „ზ“)

[24] სასამართლო გადწყვეტილება - №ა -2379-ბ -72-2014 - 18 ნოემბერი, 2014 წელი, თბილისი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალტა, განქორწინება.

უფლებებსა და მოვალეობებს ქორწინების რეგისტრაციის მომენტიდანვე არ წარმოშობს და ასეთი ქორწინება თავიდანვე არარსებულად და არშემდგარად ითვლება. თუ არსებობს შემთხვევა, როდესაც არ არსებობს ქორწინების ბათილობის საფუძველი, ასეთ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია ეს ქორწინება ცნოს კანონიერად, მას შემდეგ რაც ქორწინების ბათილობის საფუძველი ძალას დაკარგავს ან გაუქმდება. რა საკვირველია ქორწინების ბათილად ცნობა შეუძლია მხოლოდ სასამართლოს. ქორწინება ბათილია,თუ დარღვეული იქნება ქრწინების პირობები, თუ დასაქორწინებელი პირები არ არიან თანახმა, ან თუ არსებობს ისეთი შემთხვევა, რომ საქორწინო ასაკი არ უწყობთ ხელს დასაქორწინებელ პირებს.

როგორც უკვე აღვნიშნე ქორწინების ბათილობა ხდება მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილებით, ეს არის შემთხვევა, როდესაც არსებობს რამდენიმე ქორწინება. კერძოდ, თუკი სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში ფიქსირდება ორი ან მეტი რეგისტრირებული ქორწინება, ასეთ დროს დაინტერესებულ პირს შეუძლია და ამის სრული უფლება გააჩნია, რომ მიმართოს სასამართლოს ამ ქორწინების ბათილად ცნობის მოთხოვნით.[25]

ხშირია შემთხვევა, როდესაც დასაქორწინებელ პირებს არ მიუღწევიათ საქორწინო ასაკისათვის და მათ სურთ დაქორწინება ამის მიუხედავად. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობის ფონდის 2013 წლის კვლევებმა აჩვენა, რომ 2011 წლიდან 140 მილიონზე მეტი არასრულწლოვანი გოგონა იქნა დაქორწინებული. თუ მსგავსი შემთხვევები გაგრძელდება 2020 წლამდე გვექნება შემდეგი სახის შედეგები: ამათგან ყოველდღიურად 14.2 მილიონი გოგონა დაქორწინდება, და მეტიც შესაძლებელია 15 წელზე ნაკლები ასაკის გოგონების დაქორწინებაც გახდეს შესაძლებელი. მიუხედავად გოგონების ამგვარი დისკრიმინაციისა, დღეისათვის მაინც

[25] რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია - საოჯახო სამართალი, თბილისი 2011 - (თავი 5 ქორწინების ბათილობა. §5,1 ქორწინების ბათილობის ცნება და საფუძვლები, გვ 130)

გარკვეული პროგრესი იქნა მიღწეული ბავშვთა ქორწინების თვალსაზრისით, გაეროში გაიმართა კომისიის სხდომა, რომელზეც განხილული იქნა ადრეული ქორწინების პრობლემა და მისი გადაჭრის გზები.[26] სწორედ ამის გათვალისწინებით სწორია, რომ როდესაც პირი არ არის საქორწინო ასაკს მიღწეული ასეთი ქორწინება ბათილია.

ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც პრებს შორის ადგილი აქვს ფიქციურ ქორწინებას, შემდგომ როდესაც წლები გადის მათ აღარ ახსოვთ კონკრეტული ფაქტი, რეაურ ქორწინების შემთხვევაში კი ეს ხელისშემშლელი ფაქტორი ხდება მათთვის. ან თუნდაც არსებობს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ქორწინებაში მყოფი ერთ-ერთი პირი ტოვებს სახელწიფოს და მეორე მხარეს ხელი ეშლება ხელახალ ქორწინებაში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როდესაც პირს არ მიუღწევია საქორწინო ასაკისთვის და არც საქორწინო ასაკი აქვს შემცირებული, ასეთი შემთხვევის არსებობისას ქორწინება შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ ამას მოითხოვს იმ მეუღლის ინტერესები, რომელიც საქორწინო ასაკის მიღწევამდე დაქორწინდა. სწორედ ამ საფუძვლის გამოყენებით, ქორწინების ბათილობის უფლება აქვს არასრულწლოვანი მეუღლის მშობლებს ან მეურვეს და აგრეთვე თვითონ არასრულწლოვან მეუღლეს.

უნდა აღინიშნოს, რომ ქორწინების ბათილობის საფუძველს აგრეთვე წარმოადგენს მექორწინეთა ნებაყოფლობის პრინციპის დარღვევა. ნამდვილ მექორწინეებს საფუძლად უნდა ქონდეთ უერიერთთანხმობა და საერთო ნება სურვილები, თუმცა შესაძლებელია კონკრეტული ფაქტები იყოს დეფექტური, რაც წინ უძღვის იძულებით ქორწინებას. ასეთი ქორწინება შეიძლება სასამართლომ ბათილად ცნოს.

ქორწინების ბათილობა მხოლოდ მშობლებზე ახდენს გავლენას, რაც შეეხება შვილებს ქორწინების ბათილობა მათ უფლებებს არ ხელყოფს.[27]

---

[26] Детские браки: 39 000 каждый день – год:2013/ 7 марта /нью-йорк – страница 1-2

[27] რომ ა ნ შ ე ნ გ ე ლ ი ა , ე კ ა ტ ე რ ი მ ნ ე შ ე ნ გ ე ლ ი ა - ს ა ოჯ ა ხ ო ს ა მ ა რ თ ა ლ თ ბ ი ლ ს ი 2011 -(თ ა ვ ი 5 ქ ო რ წ ი ნ ე ბ ი ს ბ ა თ ი ლ ობ ა , §5,2 ქ ო რ წ ი ნ ე ბ ი ს ბ ა თ ი ლ ობ ი ს მ ომ ე ნ ტ ი და მ ი ს ი შ ე დ ე გ ე ბ ი , გ ვ .138)

რა საკვირველია ქალსა და მამაკაცს, რომლებიც იმყოფებიან სრულწლოვნები, გააჩნიათ საერთო უფლებები და რელიგიის, აღმსარებლობის თუ ეროვნების გათვალისწინება მათ არ უზღუდავთ დაქორწინების უფლებას. პირიქით, ქორწინება მათი თანხმობით უნდა მოხდეს და არ არის შესაძლებელი ქორწინება ორივე პირის სრული თანხმობის გარეშე განხორციელდეს, ასეთი ქორწინება ბათილია.[28]

თავი II

მეუღლეთა შორის წარმოშობილი ურთიერთობები

§1. საერთო საკუთრებაში არსებული ქონების გაყოფის წესი

ქორწინება მეუღლეებს შორის წარმოშობს რთულ ურთიერთობებს, ეს იქნება პირადი თუ ქონებრივი ხასიათის ურთიერთობები. თუმცა პირადთან შედარებით ქონებრივი ურთიერთობები, უფრო ჯეროვნად არის მოწესრიგებული სამართლებრივი ნორმებით. საქორწინო-სამართლებრივი ურთიერთობა ისეთ ურთიერთობათა ნაირსახეობაა, რომელიც საოჯახო სამართლებრივ ურთიერთობებს მიეკუთვნება. თუმცა ამ ურთიერთობის წარმოსაშობად, მხოლოდ ქალის და მამაკაცის სურვილი არ კმარა დაქორწინებაზე, რა საკვირველია საჭიროა ქორწინების რეგისტრაცია. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პირადი უფლებების გარკვეული ნაწილი მეუღლეებს შესაძებელია დაქორწინებამდეც ჰქონდეთ, მაგალითად ისეთ

[28] Конвенция о согласии на вступление в брак, брачном возрасте и регистрации браков Открыта для подписания и ратификации резолюцией 1763 А (XVII) Генеральной Ассамблеи от 7 ноября 1962 года (Договаривавшиеся Государства – страница 1)

შემთვევაში, როდესაც უკვე არჩეული აქვთ პროფესიია, იმ შემთხვევაშიც როცა გააჩნიათ საკუთარი საცხოვრებელი ადგილი.

მეუღლეთა შორის პირადი და ქონებრივი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირებისას ყოვლად დაუშვებელია მეუღლეთა დისკრიმინაცია.[29]

მეუღლეთა შორის სამართლებრივ ურთიერთობებს მხოლოდ კანონით განსაზღვრული რეგისტრირებული ქორწინება წარმოშობს.[30]

მეუღლეები ცხოვრობენ ქორწინების პერიოდში შეძენილი საერთო ქონების რეჟიმში, იმ შემთხვევაში, თუ საქორწინო ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ცოლისა და ქმრის ქონება არ წარმოადგენს საერთო ქონებას, თუმცა ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება თანაბრად ნაწილდება მეუღლეებს შორის, თუ ეს ქონება ერთობლივად შეძენილ ქონებად ჩაითვლება, ანუ თუ მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმში წყდება.[31]

მეუღლეთა ქონების რეჟიმი განისაზღვრება იმ სახელმწიფოს კანონის შესაბამისად, რომელშიც ისინი ცხოვრობდნენ ქორწინების დროს. მათ არ აქვთ უფლება არ დაემორჩილონ კონკრეტულ კანონებს.[32]

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ისეთ ფაქტს, როგორიცაა ქონების მართვა, მეუღლეები თავიანთ ქონებას მართავენ დამოუკიდებლად, თუმცა გააჩნიათ გარკვეული შეზღუდვებიც. ერთ-ერთ მეუღლეს შესაძლებლობა აქვს საკუთარ თავზე აიღოს მეორე მეუღლის ქონების მთლიანად განკარგვის უფლება, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მეორე მეუღლე ამაზე თანახმაა. თუ ერთერთმა მეუღლემ მეორის თანხმობის

---

[29] რომ ა ნ შ ე ნ გ ე ლ ი ა , ე კ ა ტ ე რ ი ნ ე შ ე ნ გ ე ლ ი ა - ს ა ო ჯ ა ხ ო ს ა მ ა რ თ ა ლ ი - თ ბ ი ლ ი ს ი 2011 (თ ა ვ ი 6 მ ე უ ღ ლ ე თ ა ს ა მ ა რ თ ლ ე ბ რ ი ვ ი ურ თ ი ე რ თ ობ ა ნ ი . 6.1 მ ე უ ღ ლ ე თ ა პ ი რ ა დ ი ურ თ ი ე რ თ ობ ა ნ ი)გ ვ .144

[30] ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ს ს ა მ ო ქ ა ლ ხ ქ ო კ ო დ ე ქ ს ი - (თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე - მ ე უ ღ ლ ე თ ა უ ფ ლ ე ბ ე ბ ი და მ ო ვ ა ლ ე ობ ე ბ ი . მ უ ხ ლ ი 1151 - ქ ო რ წ ი ნ ე ბ ი ს რ ე გ ი ს ტ რ ა ც ი ი ს მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ობ ა)

[31] გ ე რ მ ა ნ ი ი ს ს ა მ ო ქ ა ლ ხ ქ ო კ ო დ ე ქ ს ი (2010 წ ლ ი ს 1 მ ა რ ტ ი ს მ დ გ ო მ ა რ ე ობ ი თ) თ ბ ი ლ ი ს ი 2010 - §1363 მ ე უ ღ ლ ე თ ა მ ი ე რ ქ ო რ წ ი ნ ე ბ ი ს გ ა ნ მ ა ვ ლ ობ ა ში შ ე ძ ე ნ ი ლ ი ს ა ე რ თ ო ქ ო ნ ე ბ ი ს რ ე ჟ ი მ ი

[32] ,,современные тенденции в развитии международного частного права"выбор применимого права к режиму имущества супругов: новелла в праве европейского союза , Анцух Н. С., Белорусский государственный университет, страница 111-112

გარეშე იკისრა ქონების მართვა ასეთ შემთხვევაში, იგი ქონების მართვის გაგრძელებას შეძლებს მხოლოდ მეორე მეუღლის თანხმობის შემთხვევაში.[33] როგორც უკვე აღვნიშნე სწორედ ქორწინება იწვევს გარკვეულ უფლებებსა და მოვალეობებს, თუმცა ეს ყოველივე არ მოქმედებს მოქალაქის სტატუსზე ეს იქნება პირადი თუ მოქალაქეობრივი სტატუსი, გარდა სავარაუდოდ მუსლიმურ ქვეყნებისა. ყველაზე მნიშნველოვანი მეუღლეთა ურთიერთობებში და მათ შორის პირადი და არაქონებირივი ურთიერთობების არსებობა დამყარებულია ოჯახში მეუღლეთა თანასწორობის პრინციპზე, რაც გულისხმობს თავისუფლად აირჩიონ საკუთხარი სახელი, საცხოვრებელი ადგილი და სხვა. არსებობს შემთხვევები, როდესაც ქორწინების დროს შესაძლებელია ორივე მეუღლემ შეიცვალოს გვარი და გადავიდეს მეორე მეუღლის გვარზე, თუმცა ამას უმეტესად პატარძალი აკეთებს. საფრანგეთმა კანონპროექტი შეიმუშავა, რომლის თანახმადაც აიკრძალა ქალის გადასვლა ქმრის გვარზე. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კონკრეტულ ინიციატივას საფრანგეთის 359 დეპუტატი უჭერდა მხარს, ხოლო 24-მა დეპიტატმა უარი განაცხადა კანონპროექტის დამტკიცებაზე.

როგორც უკვე აღვნიშნე მეუღლეებს თავისუფლად შეუძლიათ აირჩიონ საკუთარი პროფესია, საცხოვრებელი ადგილი და ასე შემდეგ, მაგრამ გამონაკლისია მუსულმანური ქვეყნები, რადგან ცოლი უნდა იყოს სახლში და ქმარმა უნდა იმუშაოს. [34]

უნდა აღინიშნოს, რომ კანონი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როგორიცაა მეუღლეთა შორის არსებული ქონების გაყოფა. მეუღლეთა საკუთრება იყოფა ორ ნაწილად, ინდივიდუალურ საკუთრებად, რაც განცალკევებულ საკუთრებას გულისხმობს, და თანაზიარ საკუთრებად, რაც თავის მხრივ თანასაკუთრებას გულიხმობს. ინდივიდუალურად, რა თქმა

---

[33] გ ე რ მ ა ნ ი ი ს ს ა მ ო ქ ლ ო ქ ო კ ო დ ე ქ ს ი -(2010 წ ლ ი ს 1 მ ა რ ტ ი ს მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ი თ) თ ბ ი ლ ი ს ი 2010 _ §1365 მ თ ლ ი ა ნ ი ქ ო ნ ე ბ ი ს გ ა ნ კ ა რ გ ვ ა .

[34] Сравнительное и международное семейное право, минск 2015- глава 4 – отнашения супругов в сравеительном и международном семейном праве - 4.1. Материально-правовое регулирование личных неимущественных и имущественных отношений супругов в сравнительном и международном семейном праве , страница 96.

უნდა, ითვლება ისეთი ქონება, რომელიც ქორწინებამდეა შეძენილი და ეკუთვნის მხოლოდ ერთ მეუღლეს, რომელიც ინდივიდუალურად განკარგავს მას. რაც შეეხება თანაზიარ საკუთრებას, ასეთი ქონება ქორწინების პერიოდშია შეძენილი და მისი განკარგვის უფლება ორივე მეუღლეს თანაბრად შეუძლია. უნდა განვიხილო ის ფაქტიც, რომ მეუღლეთა საერთო სახსრებით შეძენილი ყველა ქონება არ ითვლება თანასაკუთრებად. თუ ვთქვათ გარკვეული ქონება შეძენილია თანაცხოვრების პრეიოდში მაგრამ ამას მხოლოდ ინდივიდუალურად ერთ-ერთი მეუღლე მოიხმარდა ასეთი ნივთები არ ჩაითვლება თანაზიარ საკუთრებად. [35]

მეუღლეებს ქორწინებაში შეძენილი ქონება ეკუთვნით თანაბრად, თუ ისინი მოითხოვენ ქონების გაყოფას, ასეთ შემთხვევაში მოხდება მათთვის წილების გაყოფა. ზოგადად წილების გაყოფის საკითხი დგება განქორწინების წარმოშობის შემთხვევაში. მეუღლეთა თანაზიარი საკუთრების გაყოფის დროს, საყურადღებოა არა მხოლოდ თანაზიარ საკუთრებაში არსებული ქონების გაყოფა, არამეთ თითოეული ნივთის მიკუთხვენის საკითხიც. ძირითადად კონკრეტული საკითხის მოწესრიგება მეუღლეების მიერ ხდება. მათ შეუძლიათ სანოტარო ორგანოში წარადგინონ ქონების გაყოფის აქტი და დაამოწმონ იგი.

აღსანიშნავია, რომ როდესაც მეუღლეებს თანასაკუთრებაში აქვთ ისეთი ნივთები, რომლებიც მათი პროფესიული საქმიანობის შემადგენელი ნაწილია და იყენებენ თავიანთ საქმიანობაში, ასეთი ნივთების ბედი კანონმა თავიდანვე გადაწყვიტა, რადგან პროფესიული საქმიანობისთვის გამოსაყენებელი ნივთი რჩება იმ მეუღლესთან რომელსაც ეს სჭირდება.

საერთო ქონების გაყოფისას სასამართლომ პირველ რიგში უნდა განასხვავოს ერთმანეთისაგან ინდივიდუალური და სხვა დანიშნულებისთვის

[35] რომ ა ნ შ ე ნ გ ე ლ ი ა , ე კ ა ტ ე რ ი ნ ე შ ე ნ გ ე ლ ი ა - ს ა ო ჯ ა ხ ო ს ა მ ა რ თ ა ლ - თ ბ ი ლ ი ს ი 2011 (თ ა ვ ი ნ მ ე უ ღ ლ ე თ ა ს ა მ ა რ თ ლ ებ რ ი ვ ი ურ თ ი ე რ თ ობ ა ნ ი , 6.2 მ ე უ ღ ლ ე თ ა კ ა ნ ო ნ ი ს მ ი ე რ ი ქ ო ნ ე ბ რ ი ვ ი უ ფ ლ ებ ა -მ ო ვ ა ლ ე ობ ა ნ ი) გ ვ . 153

განკუთვნილი ნივთები და მხოლოდ ამის შემდეგ დაადგინოს ნივთობრივად თუ თანხობრივად გასაყოფი ქონების ოდენობა.

სასამართლოში დავა შესაძლებელია მიმდინარეობდეს არა მთელი ქონების, არამედ კონკრეტული ნივთის გაყოფის ან მიკუთვნების თაობაზე. ასეთ შემთხვევაში მოხდება მხოლოდ იმ თანასაკუთრების გაყოფა, რომელიც დავამდე აქვს შეძენილი მეუღლეებს.

საყურადღებო ფაქტია, რომ კანონი იცავს მეუღლის კანონიერ ინტერესებს, იმ შემთხვევაში, თუ მეორე მეუღლე იმყოფება ქონებრივ გარიგებაში, და ეს გარიგება წარმოშობილია არა ოჯახის არამედ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. საკუთრების განაწილება არ მოითხოვება განქორწინებისთანავე, შესაძლებელია განქორწინების შემდეგ ორივე მეუღლის საკუთრებაში იყოს ისევ ქონება, თუმცა არათანაბარი ოდენობით.[36] როგორც უკვე აღვნიშნე წონების გაყოფა ეხება კანონით საკუთრების გაყოფის წესს, როდესაც რომელიმე მეუღლე ან ერთ-ერთი მათგანი მოითხოვს განქორწინებას. ასეთ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება რომელი მეუღლე უფრო შრომისმოყვარეა და რომელს უფრო მეტი წილი მიუძღვის საერთოსაკუთრების დაგროვებაში. აგრეთვე საყურადღებო იყო ის ფაქტიც, რომელი მეუღლე მიიჩნეოდა ოჯახის მარჩენალად. თუმცა ისლამური სამართლის მიხედვით არ არსებობდა ქონების გაყოფის უზრუნველყოფა, გარდა იმ შემთხვევისა თუ მხარეები განქორწინბდებოდნენ, ან ქორწინება გარდაცვალებით დასრულდებოდა. მაგალითად მალაიზიაში არსებობს კანონი, რომლითაც სასამართლო ყოფს მხარეების აქტივებს, რომლებიც შეძენილია ქორწინების დროს ერთობლივი ძალისხმევის შედეგად. ამასთანავე მხარეს უფლება აქვს საკუთარი ქონებიდან წილი გაუძიაროს სხვას, თუმცა , რა თქმა უნდა, შემდგომში ის უფრო ნაკლებს მიიღებს ვიდრე მას ჰქონდა წილი ქონებიდან.

---

[36] რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია - საოჯახო სამართალი - თბილისი 2011 (თავი 6 მეუღლეთა სამართლებრივი ურთიერთობანი 6.3 მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფის წესი) გვ.162

აშშ-ში ითვლება, რომ როდესაც წყვილი მოხუცებულია და მათ აქვთ პენსია, ეს პენსია ითვლება როგორც მომგებიანი ხელფასი და განქორიწნების შემთხვევაში ერთი-ერთი მეუღლე გამოთქვამს პრეტენზიას ქორწინების პერეიოდში მიღებული პენსიის წილზე, რაც გულისხმობს, რომ ეს ქორწინების პერიოდღი მიღებული პენსია ითვლება თანასაკუთრებად.

არსებობდა შემთხვევა იაპონიაში, როდესაც ქმარი იღებდა 6 წლის გამავლობაში პენსიას, სასამართლომ იგი დაავალდებულა ყოფილი მეუღლისათვის გადაეხადა განქორწინების შემდეგ ეს კონკრეტული თანხა, რაც პენსიიდან მიიღო.[37]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1165 მუხლი ითვალისწინებს შემთხვევას, როცა, მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფა ხდება, ეს ხდება მეუღლეთა შენთანხმებით, მაგრამ არსებობს შემთხვევები, როდესაც მეუღლეებს შორის ასეთი შეთანხმება არ არსებობს , მაშინ სასამართლოს მიერ ხდება თანასაკუთრების გაყოფა. სასამართლო კონკრეტულად განსაზღვრავს რომელი ნივთი რომელ მეუღლეს უნდა მიეკუთვნოს. რაც შეეხება პროფესიული საქმიანობისთვის საჭირო ნივთებს, ეს იქნება საექიმო მოწყობილობები, მუსიკალური ინსტრუმენტები, წიგნები თუ სხვა, ასეთი ნივთები რომლებიც შესაძლებელია ქორწინების პერიოდში იყოს შეძენილი მეუღლეთა საერთო სახსრებით, იგი მაინც გადაეცემა იმ მეუღლეს, რომელსაც ეს ნივთები თავისი პროფესიული საქმიანობისთვის ესაჭიროება.

საქართველოს სამოქლაქო კოდექსი ითვალისწინებს, აგრეთვე ქონების გაყოფას ქორწინების განმავლობაში, ეს ის შემთხვევაა, როდესაც თუ ქორწინების პერიოდში რაიმე ქონების ნაწილი არ გაყოფილა და აგრეთვე შესაძლებელია შემდგომში კიდევ იქნეს შეძენილი ქონება, რომელიც შემდგომში უკვე ჩაითვლება თანასაკუთრებად თუ რა თქმა უნდა მეუღლეები ხელშეკრულებაში სხვა რამეს არ გაითვალისწინებენ.[38]

---

[37] Barbara stark – internetional family law, 2005– (Chapter 6 - Divorce/Property Distribution – page 117-118)

[38] ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ს ს ა მ ო ქ ლ ა ქ ო კ ო დ ე ქ ს ი - მ უ ხ ლ ი 1167- ს ა ე რ თ ო ქ ო ნ ე ბ ი ს გ ა ყ ო ფ ა ქ ო რ წ ი ნ ე ბ ი ს გ ა ნ მ ა ვ ლ ობ ა შ ი

საქართველოს კანონის ,,საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ 45-ე მუხლი ითვალისწინებს ქორიწინების შედეგებს, და მიუთითებს, რომ ქორწინების შედეგები იმ ქვეყნის სამართალს ექვემდებარება, რომელსაც შეიძლება განეკუთვნებოდნენ ცალ-ცალკე მეუღლეები და აგრეთვე მატ ქორწინებამდე ან ქორწინების ბოლო პერიოდში გააჩნდათ ამ ქვეყანაში საცხოვრებელი, ადგილსამყოფელი. ეს ნორმა აგრეთვე გამოიყენება მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების განსაზღვრის კუთხითაც, თუ მაგალითად მეუღლეებს აურჩევიათ სხვა ქვეყნის სამართალი. ზოგადად სამართლის არჩევა შეუძლიათ მეუღლეებს იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი ამ ქვეყნის სამართალს განეკუთვნება, შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც თუ ამ კონკრეტულ ქვეყანაში ერთ-ერთ მეუღლეს გააჩნია უძრავი ქონება და ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი.[39]

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების განაწილებას ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში. როდესაც გარდაიცვლება ერთი მეუღლე ქორწინებაში შეძენილი ქონების განაწილება ხდება იმ სამკვიდრო წილის სამკვიდროს ერთი მეოთხედის გაზრდით, რომელიც ისედაც ეკუთვნოდა ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს კანონით დადგენილი წესით. არსებობს შემთხვევა, როდესაც ცოცხლად დარჩენილი მეუღლე არ ხდება გარდაცვლილის მემკვირდე, ასეთ დროს მას შეუძლია მოითხოვოს ქორწინების განმავლობაში შეძენილი თანასაკუთრების განაწილება.
როდესაც ცოცხლად დარჩენილი მეუღლე უარს განაცხადებს სამკვიდროზე, ასეთ დროს შეუძლია მოითხოვოს ქორწინების დროს შეძენილი ქონების განაწილებასთან ერთად სავალდებულო წილიც.[40]

---

[39] საქართველოს კანონი ,,საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ 1998 წელი NN19-20 -მუხლი 45 - ქორწინებების შედეგები.
[40] გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (2010 წლის 1 მარტის მდგომარეობით) თბილისი 2010 - §1371 - მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების განაწილება გარდაცვალების შემთხვევაში

რაც შეეხება ქონების გაყოფასთან დაკავშირებით სასამართლო გადაწყვეტილებას, ერთ-ერთი გადაწყვეტილების შესაბამისან, განქორწინების პერიოდში ერთ-ერთი მეუღლე ითხოვს მეორე მეუღლისაგან ქორწინების პერიოდში შეძენილი ქონების ნახევარს, კონკრეტულად ავტომანქანის ღირებულების ნახევარს, აგრეთვე მეუღლის საბანკო ანგარიშზე არსებული თანხის ნახევარს, და კიდევ სხვა ანგარიშებზე არსებული თანზების ნახევარს. კონკრეტულ შემთხვევაში მოპასუხემ ნაწილობრივ ცნო და თანხმობა განაცხადა სარჩელზე, და ზოგიერთ ნაწილში განაცხადა მისი დაკმაყოფილება. თუმცა მოსარჩელემ ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა და მოითხოვა სხვა ნაწილშიც სარჩელის დაკმაყოფილება, რაზეც უკვე ბოლოს საკასაციო სასამართლომ განაცხადა უარი, და საჩივარი დატოვა განუხილველად.[41]

§2 ურთიერთრჩენის ვალდებულება მეუღლეთა შორის

ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ ორივე მეუღლე ვალდებულია იზრუნონ ერთმანეთზე და საჭიროების შემთხვევაში მატერიალურად დაეხმარონ ერთმანეთს. როდესაც მეუღლეთა შორის ხდება განქორწინება, ხშირ შემთხვევაში მეუღლეები თვითონ, საკუთარი ნებასურვილით არ არღვევენ ასე ვთქვათ მიცემულ პირობას და მაინც განაგრძობენ მეუღლის მატერიალურად უზრუნველყოფას. თუმცა არსებობს შემთხვევები როდესაც ერთ-ერთი მეუღლე უარს განაცხადებს განქორწინების შემდეგ მეუღლის

[41] http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx სასამართლო გადწყვეტილება № ას-888-850-2014, საოჯახო სამართლებრივი დავა, ქორწინების პერიოდში შეძენილ ქონების გაყოფა.

რჩენაზე, ასეთ შემთხვევაში მეორე მეუღლეს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს თავისთვის განკუთვნილი სარჩოს მიღება.[42]

,,მეუღლეები მოვალენი არიან მატერიალურად დაეხმარონ ერთმანეთს. ასეთ დახმარებაზე უარის თქმისას ან/და სარჩოს მიცემის შესახებ მეუღლეთა შორის შეთანხმების არარსებობისას სასამართლო წესით სარჩოს მიღების უფლება აქვთ:

ა) შრომისუუნარო მეუღლეს, რომელიც მატერიალურ დახმარებას საჭიროებს;

ბ) ცოლს ორსულობის პერიოდში და ბავშვის დაბადებიდან სამი წლის განმავლობაში“.[43]

შორმისუუნარო მეუღლე, რომელსაც ესაჭიროება დახმარება, სარჩოს მიღებას შეძლებს განქორწინების შემდეგაც, ისეთ შემთხვევაში, თუ იგი შრომისუუნარო გახდა განქორწინებამდე ან ერთი წლის განმავლობაში განქორწინების დღიდან.

განქორწინების შემთხვევაში და განქორწინებულ მეუღლეთა მიმართ რჩენის მოვალეობის დროს, გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, რომელიც გამოყენებულ იქნა განქორწინების შესახებ საქმის გადაწყვეტისას.[44]

უნდა აღინიშნოს, რომ რჩენის მოვალეობის მიმართ იმ ქვეყნის სამართალი გამოიყენება, სადაც კონკრეტულ პირს რომელსაც ესაჭიროება რჩენა აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი. თუ არსებობს შემთხვევა, როდესაც სარჩენ პირს ამ ქვეყნის სამართლით მარჩენალისაგან სარჩოს მიღება არ შეუძლია, გამოიგენება იმ ქვეყნის სამართალი, რომელსაც ერთობლივად განეკუთვნებიან ეს პირები. თუ არსებობს შემთხვევა, როდესაც არცერთი ქვეყნის სამართლის გამოყენებით არ შეუძლია პირს სარჩოს მიღება, ასეთ შემთხვევაში გამოიყენება საქართველოს სამართალი.

---

[42] რომ ა ნ შ ე ნ გ ე ლ ი ა , ე კ ა ტ ე რ ი ნ ე შ ე ნ გ ე ლ ი ა - ს ა ო ჯ ა ხ ო ს ა მ ა რ თ ა ლ - თ ბ ი ლ ი ს ი 2011- (თ ა ვ ი 6 მ ე უ ღ ლ ე თ ა ს ა მ ა რ თ ლ ებ რ ი ვ ი ურ თ ი ე რ თ ო ბ ა ნ ი - 6.5 მ ე უ ღ ლ ე თ ა ურ თ ი ე რ თ რ ჩ ე ნ ი ს მ ო ვ ა ლ ე ო ბ ა) გ ვ .189

[43] ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ს ს ა მ ო ქ ა ლ ა ქ ო კ ო დ ე ქ ს ი - მ უ ხ ლ ი 1182 - ს ა რ ჩ ო ს მ ი ღ ე ბ ა ზ ე უ ფ ლ ებ ა მ ო ს ი ლ ი პ ი რ ი .

[44] თ ე ნ გ ი ზ ლ ი ლ უ ა შ ვ ი ლ ი - ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო კ ე რ ძ ო ს ა მ ა რ თ ა ლ - თ ბ ი ლ ი ს ი 2001 (თ ა ვ ი VII ს ა ო ჯ ა ხ ო ს ა მ ა რ თ ლ ებ რ ი ვ ი ურ თ ი ე რ თ ო ბ ე ბ ი ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო კ ე რ ძ ო ს ა მ ა რ თ ა ლ შ ი - 4. რ ჩ ე ნ ი ს მ ო ვ ა ლ ე ო ბ ა) გ ვ .105

ზოგჯერ სახეზე გვაქვს შემთხვევა, როდესაც საქართველოში მოხდა პირების განქორწინება, ასეთ დროს განქორწინებული პირის რჩენის აღსრულება მოხდება იმ ქვეყნის სამართლით, რომელი ქვეყნის სამართლითაც მოხდა მათი განქორწინება. როდესაც რარჩენი და მარჩენალი არიან საქართველოს მოქალაქეები და ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი აქვთ საქართველოში ასეთ დროს პირდაპირ გამოიყენება საქართველოს სამართალი.[45]

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §1569-ის თანახმად განქორწინების შემდეგ თითოეული მეუღლე თავად ირჩენს თავს, ეს არის მისი ვალდებულება. ისეთ შემთხვევაში, როდესაც მას არ შეუძლია საკუთარი თავის რჩენა მაშინ მეორე მეუღლის მიმართ მას წარმოეშობა რჩენის უფლების მოთხოვნა.

განქორწინებულ მეუღლეს შეუძლია მეორე მეუღლისაგან მოითხოვოს რჩენის ვალდებულება ბავშვის გამო, მისი დაბადებიდან სულ ცოტა სამი წლის განმავლობაში. ასეთ დროს მოწმდება კონკრეტული ფაქტები რამდენად სამართლიანად არის შეფასებული და აგრეთვე უნდა შემოწმდეს ბავშვის ინტერესები რამდენად არის დაცული. თუ ორივე კრიტერიუმი გამართლებულად ჩაითვლება, რჩენის მოვალეობა კიდე გაგრძელდება.[46]

მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს სარჩოს ოდენობა და მისი განსაზღვრის კრიტერიუმები. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §1578-ის თანახმად: განქორწინებული მეუღლეთა სარჩოს ოდენობა განისაზღვრება მეუღლეთა ცხოვრების პირობების შესაბამისად, ამასთანავე რჩენა მოიცავს არკვეულ ყოველდღიური საჭიროებების გათვალისწინებას. კონკრეტულად ეს ცხოვრებისეული საჭიროებები შეიძლება იყოს სამედიცინო გამოკვლევები, განათლება და პროფესიული გადამზადებები, დაზღვევა და ასე შემდეგ.

---

[45] საქართველოს კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ - 1998 წელი - NN19-20 - (მუხლი 48, რჩენის მოვალეობა)

[46] გერმანიის სამოქლ ქოკოდექსი (2010 წლის 1 მარტის მდგომარეობით) თბილისი 2010- §1570 - რჩენა ბავშვზე ზრუნვის გამო.

როდესაც ვალდებული პირი არის ქონებრივი გადახდის მხრივ უუნარო, ასეთ შემთხვევაში საკუთარი ჯანმრთელობისა და ფიზიკურობის დაზიანების გარეშე უნდა გადაუადოს მეუღლეს სარჩო, თუმცა უნდა მოხდეს სამართლიანი შეფასება იმ საჭიროებებისა რაც აუცილებელი იქნება ყოველდღიური ცხოვრებისთვის მეორე მეუღლისათვის.[47]

თავი III

საქორწინო კონტრაქტი

§1.კონტრაქტის მიზანი

საქორწინო კონტრაქტის წარმოშობის საკითხი დღემდე მეცნიერთა შორის ღიაა. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ საქორწინო კონტრაქტის წარმოშობა ამერიკის შეერთებულ შტატებს უკავშირდება, ხოლო მისი ძალაში შესვლის თარიღად 1905-1915 წლებს მიიჩნევენ. იმისათვის რომ სწორ პასუხამდე მივიდეთ, თუ რამდენად შეესაბამება ზემოთ აღნიშნული საკითხი

[47] გ ე რ მ ა ნ ი ი ს ს ა მ ო ქ ა ლ ხ ქ ო კ ო დ ე ქ ს ი (2010 წ ლ ი ს 1 მ ა რ ტ ი ს მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ი თ) თ ბ ი ლ ი ს ი 2010 - §1581- ს ა რ ჩ ო ს გ ა დ ა ხ დ ი ს უ ნ ა რ ი .

სიმართლეს აუცილებელია მივყვეთ ქრონოლოგიურ ჩარჩორს. 1905 წელს ჰააგაში მიიღეს კონვენცია, რომელიც საოჯახო საკითხების მოწესრიგებას ისახავდა მიზნად, და კერძოს კი ეხებოდა საქორწინო კონტრაქტს. 1835 წელს საფრანგეთში გამოქვეყნდა ონორე დე ბალზაკის თხზულება, რომელშიც მკაფიოდ იყო გამოკვეთილი საქორწინო კონტრაქტი და მასთან არსებული გარემოებები. ხოლო 189 წელს გამოქვეყნდა პორტუგალიელი ებრაელების საქორწინო კონტრაქტები, რომელთა რაოდენობაც 10 ტომს შეადგენდა, ხოლო სუმ საქორწინო კონტრაქტების რაოდენობა იმ დროისათვის 233 შეადგინა. რაც ყველაზე მნიშნველოვანია, კონკრეტული საქორწინო კონტრაქტები შედგენილი იყო ტუნისის პორტუგალური თემის რავინთა სასამართლოს მოსამართლეთა მიერ.

აქედან გამომდინარე საყურადღებოა, რომ საქორწინო კონტრაქტების არსებობა მომდინარეობს არა ამერიკის შეერთებული შტატებიდან, არამედ უფრო შორი აღმოსავლეთიდან იღებს სათავეს და ძველი ეგვიპტისაკენ მივყავართ.[48]

დღეის მდგომარეობით საქართველოში საქორწინო კონტრაქტების ოდენობამ შეიძლება იმატა, თუმცა მაინც იკვეთება ის ფაქტი, რომ საქორწინო კონტრაქტის მონაწილეთაგან ერთ-ერთი ხშირად არის უცხო ქვეყნის მოქალაქე, ესეიგი საქორწინო კონტრაქტის დადების დროს სახეზე გვაქვს შერეული ქორწინებები.

საქორწინო კონტრაქტს თავდაპირველად საქორწინო ხელშეკრულება ეწოდებოდა, ხოლო შემდგომ უკვე დროთაგანმავლობაში მას საქორწინო კონტრაქტი ეწოდა.

იმ ქვეყნების სამოქალაქო კოდექსებში რომლებიც აგრეთვე იცნობენ საქორწინო კონტრაქტს, შეიმჩნევა ბევრი მსგავსება და საერთო პრინციპები. ყველაზე მნიშნველოვან პრინციპად მიიჩნევა ალბათ ის გარემოება, რომ მეუღლეებს საქორწინო კონტრაქტით შეუძლიათ მხოლოდ ქონებრივი ხასიათის ურთიერთობები დაარეგულირონ, რაც შეეხება არაქონებრივი

[48] გ ი ო რ გ ი . გ . თუმ ა ნ ი შ ვ ი ლ ი - ს ა ქ ო რწ ი ნ ო კ ო ნ ტრ ა ქ ტ ი - თბ ი ლ ს ი 2010 (§V - ს ა ქ ო რწ ი ნ ო კ ო ნ ტრ ა ქ ტ ი ს წ ა რ მ ო შ ობ ა და გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა) გ ვ .43

ხასიათის ურთიერთობებს მათი ხასიათის კონტრაქტში განსაზღვრა ერთი შეხედვით დაუშვებელია. თუმცა ამასთან ერთად იკვეთება ის ფაქტი, რომ მოქმედი კანონმდებლობით მეუღლეებს შეუძლიათ ნებისმიერი სახის გარიგებებში მიიღონ მონაწილეობა რომელსაც კანონი პირდაპირ არ კრძალავს, ამის გათვალისწინებით საყურადღებოა, რომ კონტრაქტის მხარეები შესაძლებელია შეთანხმდნენ არა მხოლოდ ქონებრივ უფლებებზე და მოვალეობებზე, არამედ არაქონებრივ უფლება-მოვალეობებზეც.

საქორწინო კონტრაქტი წყვილებისთვის შესაძლებელია ერთგვარი დამცავი მექანიზმიც აღმოჩნდეს, რადგან წყვილებს საშუალება ეძლევათ განქორწინების დროს მოითხოვონ ზუსტად ის პირობები და იმ მოქმედებათა შესრულება, რომელიც აღნიშნული აქვთ საქორწინო კონტრაქტში.[49]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი იცნობს საქორწინო ხელშეკრულებას, რომელიც 1172-ე მუხლშია გადმოცემული: მეუღლეებს შეუძლიათ საქორწინო ხელშეკრულება გააფორმონ, რომლის მეშვეობითაც განსაზღვრავენ თავიანთ ქონებრივ უფლებებსა და მოვალეობებს, ეს მოხდება როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე განქორწინებისას. საქორწინო ხელშეკრულება როგორ წესი იდება ქორწინების რეგისტრაციამდე, იმ შემთხვევაში თუ ერთი მეუღლე მხარდაჭერის მიმღებია. ასეთ შემთხვევაში აუცილებელი ხდება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, აგრეთვე მხარდამჭერის მითითება და ჩაბმა იმ ნაწილში, რომელსაც სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით განსაზღვრავს. მთავარია ერთი ფაქტორი, რომ მხარდაჭერის მიმღებთან დადებული საქორწინო ხელშეკრულება იმაზე მეტად არ ზღუდავდეს მხარდაჭერის მიმღებს, ვიდრე ეს სასამართლოს გადაწყვეტილებით არის დაშვებული.

---

[49] გ ი ო რ გ ი . გ .თუმ ა ნ ი შ ვ ი ლ ი - ს ა ქ ო რწ ი ნ ო კ ო ნ ტრ ა ქ ტ ი - თბ ი ლ ი ს ი 2010 - §1 ს ა ქ ო რწ ი ნ ო კ ო ნ ტრ ა ქ ტ ი , რ ო გ ო რ ც ს ა მ ა რ თ ლ უ ბ რ ი ვ ი ი ნ ს ტ ი ტ უ ტ ი , გ ვ .12

საქორწინო ხელშეკრულების დადება შესაძლებელია როგორც ქორწინების რეგისტრაციის პერიოდში ისე მისი დასრულების შემდეგ. თუ არსებობს ასეთი ხელშეკრულება, რომელიც დაიდო ქორწინების რეგისტრაციამდე, რა თქმა უნდა, იგი ძალაში შევა ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ. [50]

საქორწინო ხელშეკრულება როგორც წესი იდება წერილობითი ფორმით და აუცილებელია დადასტურდეს სანოტარო წესით.[51]

გერმანიის სამოქალაქო კოდექსიც იცნობს საქორწინო ხელშეკრულებას, და განმარტავს, რომ მეუღლეებს შეუძლიათ მოაწესრიგონ თავიანთი ქონებრივი რეჟიმი საქორწინო ხელშეკრულებით, უფლება აქვთ შეცვალონ, ან გააუქმონ ქონებრივი ურთიერთობები მას შემდეგაც რაც ქორწინებას გააფორმებენ. გერმანიის სამოქლაქო კოდექსის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად ადგენს, რომ საქორწინო ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს სანოტარო წესით და ამ პროცესს აუცილებელია, რომ ესწრებოდეს ორივე მხარე. [52]

მსოფლიოს მრავალი ქვეყანა და ამასთანავე სამართლის მრავალი ოჯახი იცნობს საქორწინო ხელშეკრულებას, როგორც ინსტიტუტს. აღსანიშნავია, რომ საერთო სამართლის ქვეყნებში იგი არ არის ჩამოყალიბებული როგორც სამართლებრივი ისნტიტუტი, თუმცა გარიგების სახით მაინც არსებობს და მასზე ვრცელდება საკონტრაქტო და საოჯახო სამართალთან დაკავშირებული დებულებები. თუმცაღა თუ გადავხედავთ მდგომარეობას, ნებისმიერი სამართლის მიხედვით, საქორწინო ხელშეკრულებების სუბიექტთა წრე ერთი და იგივეა, ესენი არიან როგორც დასაქორწინებელი, აგრეთვე უკვე დაქორწინებული ანუ ქორწინებაში მყოფი პირები.

ნათელია, რომ დასაქორწინებელი პირებიც არიან საქორწინო ხელშეკრულების მონაწილეები, თუმცა მხედველობაში უნდა მივიღოთ ის

---

[50] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი - მუხლი 1173 - საქორწინო ხელშეკრულების დადება.

[51] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი - მუხლი 1174 - ხელშეკრულების ფორმა

[52] გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (2010 წლის 1 მარტის მდგომარეობით) თბილისი 2010 - § 1408 - საქორწინო ხელშეკრულება, ხელშეკრულების დებისა და შინაარსის თავისუფლება, §1410 ფორმა.

ფაქტიც, თუ როდის იწყებს მოქმედებას, ანუ როდის შედის ძალაში თვითონ საქორწინო კონტრაქტი. რა საკვირველია კონტრაქტის დადება შესაძლებელია პირთა დაქორწინებამდეც, თუმცა იგი იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მაშინ როდესაც, პირები მიიღებენ მეუღლეების სტატუსს. სწორედ ასეთი მომენტის დადგომის შემდეგ ხდება საქორწინო კონტრაქტის ამოქმედება.[53]

როგორც უკვე აღვნიშნე საქორწინო კონტრაქტი ჩვეულებრივ გარიგებას წარმოადგენს, რომელიც მხარეებს აძლევს საშუალებას, აწონ-დაწონონ თავიანთი ყველა მოთხოვნა და სურვილი და ლოგიკურად ჩამოაყალიბონ მატერიალური თუ მორალური ვალდებულებები. მხარეებს შეუძლიათ კანონით გათვალისწინებული ურთიერთობების გარდა თვითონ დამატებით განსაზღვრონ თავისთვის ხელსაყრელი პირობები, რომლებიც შემდგომში შესაძლებელია ქორწინების პრეიოდშიც ასახავდეს მათ ნება-სურვილის გამოხატულებას, და რაც მნიშვნელოვანია განქორწინების პერიოშიც ემსახურებოდეს ცალკეული საკითხების მოგვარების წესს.

საქორწინო კონტრაქტი ხელს უწყობს განქორწინების შემდეგ მეუღლეების ფიზიკური, თუ სულიერი ძალიების დახარჯვას, რადგან ასეთ დროს მეუღლეები უფრო ნაკლებ ძალისხმევას ხარჯავენ ერთმანეთის მიმართ წამოყენებული ქონებრივი პრეტენზიების გასარკვევად.[54]

საქორწინო კონტრაქტი როგორც უკვე აღვნიშნე წარმოადგენს გარიგებას, ამიტომ მის მიმართ გამოიყენება ის წესები და დათქმები, რომლებიც ყველა გარიგების მიმართ, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ საქორწინო კონტრაქტის პირობებს და დათქმებს ადგენს სამოქალაქო კოდექსში შემავალი საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტში არსებული ნორმები. [55]

---

[53] გ ი ო რ გ ი . გ .თუმ ა ნ ი შ ვ ი ლ ი - ს ა ქ ო რწ ი ნ ო კ ო ნ ტრ ა ქ ტ ი - თბ ი ლ ი ს ი 2010(§II ს ა ქ ო რწ ი ნ ო კ ო ნ ტრ ა ქ ტ ი ს ს ა მ ა რ თ ლ უ ბ რ ი ვ ი ბ უ ნ ე ბ ა - ნ ა წ ი ლ I ს ა ქ ო რწ ი ნ ო კ ო ნ ტრ ა ქ ტ ი და ს ა მ ო ქ ა ლ ქ ო ს ა მ ა რ თ ლ უ ბ რ ი ვ ი ხ ე ლშ ე კ რ უ ლ უ ბ ა) გ ვ . 18

[54] http://www.library.court.ge/upload/47022012-09-26.pdf - ე ლ ბ კ უ ს ი ა ნ ი -ს ტ ა ტ ი ა 2012 - ს ა ქ ო რწ ი ნ ო კ ო ნ ტრ ა ქ ტ ი - მ ო ქ მ ე დ ი ს ა მ ა რ თ ლ უ ბ რ ი ვ ი ი ნ ს ტ ი ტ უ ტ ი თუ თ ე ო რ ი უ ლ ფ ო რ მ უ ლ ბ ც ი ა ? (3. ს ა ქ ო რწ ი ნ ო კ ო ნ ტრ ა ქ ტ ი ს მ ი ზ ა ნ ი) გ ვ .5

[55] გ ი ო რ გ ი . გ .თუმ ა ნ ი შ ვ ი ლ ი - ს ა ქ ო რწ ი ნ ო კ ო ნ ტრ ა ქ ტ ი - თბ ი ლ ი ს ი 2010 (§II ს ა ქ ო რწ ი ნ ო კ ო ნ ტრ ა ქ ტ ი ს ს ა მ ა რ თ ლ უ ბ რ ი ვ ი ბ უ ნ ე ბ ა - ნ ა წ ი ლ II ს ა ქ ო რწ ი ნ ო კ ო ნ ტრ ა ქ ტ ი ს ც ნ ე ბ ა - პ ა რ ა მ ე ტ რ ი ზ ა ც ი ი ს პ რ ო ბ ლ უ მ ა) გ ვ .22

საქორწინო კონტრაქტში იკვეთება გარკვეული ელემენტები, რომლებიც ხელს უწყობს მის სრულყოფილად ჩამოყალიბებას. ეს ელემენტებია: საქორწინო კონტრაქტის სუბიექტები, რომლებიც რა თქმა უნდა არიან დასაქორწინებელი პირები ან მეუღლეები, ამასთანავე საქორწინო კონტრაქტის ობიექტებს რაც შეეხება ეს არის ქონებრივი და არაქონებრივი უფლება- მოვალეობები, მნიშნველოვან ფაქტორს წარმოადგენს კონტრაქტის მოქმედება დროში, რადგან შესაძლებელია კონტრაქტი დადებული იქნება გარკვეული ვადით, ან შესაძლებელია უვადოდ. და ამასთანავე კონტრაქტის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე განქორწინებისას. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ საქორწინო კონტრაქტის დადება შესაძლებელია ქორწინების რეგისტრაციამდე და რეგისტრაციის შემდეგ. თუმცა საქორწინო კონტრაქტი, რომელიც ქორწინების რეგისტრაციამდე დაიდო ძალაში შევა ქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან. ბოლო ელემენტია კონტრაქტის ფორმა, რაც ნიშნავს, რომ კონტრაქტი წერილობითი ფორმით უნდა დაიდოს და გაფორმდეს სანოტარო წესით, წინააღმდეგ შემთვევაში კონტრაქტს იურიდიული ძალა არ გააჩნია.

უცხო ქვეყნის მაგალითზე რომ ვიმსჯელოთ, მაგალითად გერმანიაში ტრადიციასავითაა ქცეული საქორწინო კონტრაქტი, რადგან ყველა წყვილი ქორწინების რეგისტრაციამდე აფორმებს საქორწინო ხელშეკრულებას, რაც გამოწვეულია მათი ცხოვრების დონიდან გამომდინარე. მათ გააჩნიათ იმხელა სოციალური მდგომარეობა, რომ ყოველი მოქალაქის უკან დგას იმ მასშაბის უძრავი და მოძრავი ქონება, რომლის საერთო წესით მეუღლისათვის გაზიარება თითოეული პირისათვის მიუღებელია. თუმცა რა საკვირველია ვინც ქორწინდება ადრეულ ასაკში იგი არ აფორმებს საქორწინო ხელშეკრულებას, რადგან მას იმდენი კაპიტალი არ გააჩნია, რომ მეუღლისათვის გაყოფა ამ ქონების მისთვის მიუღებელი იყოს.[56]

---

[56] http://www.library.court.ge/upload/47022012-09-26.pdf - ელ კუსიანი -სტატია 2012 - საქორწინო კონტრაქტი - მოქმედი სამართლებრივი ინსტიტუტი თუ თეორიულ ფორმულ ცია? (3. საქორწინო კონტრაქტის მიზანი) გვ.6

საქართველოს კანონის „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ - მე-16 მუხლი ითვალისწინებს უცხოელთა საოჯახო და საქორწინო ურთიერთობებს. კერძოდ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ დაქორწინდნენ საქართველოს მოქალაქეზე, და აგრეთვე სხვა ქვეყნის მოქალაქეზეც კანონის შესაბამისად. უცხოელებს იგივე უფლება-მოვალეობები აკისრიათ საქართველოში, როგორც საქართველოს მოქალაქეებს.[57] შესაბამისად ისინი თავისუფალი არიან აგრეთვე საქორწინო ხელშეკრულების დადების დროსაც, ისეთივე უფლებებით სარგებლობენ, როგორც საქართელოს მოქალაქეები. მათ დაეკისრებათ ის პასუხისმგებლობა, რაც საქართველოს მოქალაქეებს, შესაბამისად ხელშეკრულების შეცვლის, შეწყვეტის , თუ ბათილად ცნობის შემთხვევაში ისარგებლებენ იგივე უფლებებით და მოვალეობებით, როგორც საქართველოს მოქალაქეების სარგებლობენ.

რაც შეეხება ქორწინების ხელშეკრულების დადების მიზანს სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე თუ ვიმსჯელებთ ხშირ შემთხვევაში ეს არის ბავშვების მომავლისთვის და მათი აღზრდისათვის დადებული ხელშეკრულება. მაგალითად ერთ-ერთი გადაწყვეტილების თანახმას, მეუღლეები განქორწინდნე, და განქორწინების შემდგომ გააფორმეს საქორწინო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც მხარეები ვალდებული არიან კონტრაქტში მოცემული ყველა დებულება შეასრულონ განქორწინების შემდგომ. აღსანიშნავია, რომ კონტრაქტის დადების დროს მეუღლეები უკვე ითვლებიან განქორწინებულად, და შესაძლებლობა აქვთ ხელმეორედ იქორწინონ.[58]

აქვე არ შემიძლია არ აღვნიშნო საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენცია, რომელიც მათ გააჩნიათ ქორწინებასთან დაკავშირებულ საქმეებზე, როდესაც ერთ-ერთი მეუღლე არის

---

[57] საქართველოს კანონი „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ - 03/06/1993 - (მუხლი 16 - საქორწინო და საოჯახო ურთიერთობანი, ნაწილი 1. 2.)

[58] http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx - უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება №ა -1289-შ -30-2010 , საოჯახო სამართლებრივი დავა , მეუღლეთა განქორწინების თაობაზე .

საქართველოს მოქალაქე ან ქორწინებისას იყო, ან მეუღლე არის საქართველოს მოქალაქე, რომლის წინააღმდეგაც საქმეა აღძრული, და აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ ერთი მეუღლე მოქალაქეობის არმქონე პირია და მისი ადგილსამყოფელი საქართველოს ტერიტორიაზე იყო.[59] ასეთ შემთხვევაში საქართელოს სასამართლოები სარგებლობენ საერთაშორისო კომპეტენციით, რაც საყურადღებო ფაქტს წარმოადგენს.

§2. მეუღლეთა პირადი ხასიათის უფლება მოვალეობების გათვალისწინება საქორწინო კონტრაქტში

საქორწინო კონტრაქტის დადების შემთხვევაში, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ რა ასპექტში შეიძლება წარმოიშვას საქორწინო კონტრაქტის დადების საჭიროება და რისი მიღწევა გვსურს კონტრაქტით. უნდა აღინიშნოს, თუ რა შემთხვევაში შეიძლება გახდეს აუცილებელი კონტრაქტის დადება. პირველ რიგში, როდესაც პირი აპირებს დაქორწინებას, მეორე რიგში, როდესაც პიროვნება უკვე დაქორწინებულია, თუმცა ხვდება, რომ ამ ქორწინების განმავლობაში რაღაც ცვლილებები მოხდა წყვილის ურთიერთობაში, და მესამე შემთხვევა არის უმნიშვნელოვანესი, როდესაც პირი ქორწინებაში იმყოფება, თუმცა ამ დროს იგი ფიქრობს განქორწინებაზე, სწორედ ასეთ შემთხვევაშია აუცილებელი საქორწინო კონტრაქტის შედგენა.

როდესაც დგება შემთხვევა, და წყვილი გადაწყვეტს, რომ საჭიროა მათთვის და მათი ურთიერთობიდან გამომდინარე საქორწინო კონტრაქტი, უნდა დაფიქრდნენ, რა პირობები უნდა იყოს გათვალისწინებული კონტრაქტში და როგორ ჩართონ ეს პირობები შეთანხმებაში, ისე რომ ეს პირობები

[59] საქართველოს კანონი „საერთაშორიეო კერძო სამართლის შესახებ“ - 29/04/1998- NN19-20 - (მუხლი 12 - ქორწინებასთან დაკავშირებული საქმეები, ნაწილი 1.)

გამოიყურებოდეს და არა მარტო გამოიყურებოდეს, იყოს სამართლებრივად ჯანსაღი და დამართლიანიც ორივე მხარისათვის. თავიდანვე წყვილმა უნდა იცოდეს, რომ ქორწინება არა მხოლოდ ოჯახის შექმნაა, არამედ იგი პარტნიორობაა ყველა თვალსაზრისით, სწორედ ამიტომ შესაძლებელია ერთი შეხედვით საქორწინო კონტრქტი რომანტიკულად არ გამოიყურებოდეს, მაგრამ მომავალ მეუღლესთან ერთან უნდა მოხდეს კონკრეტული პირობების განხილვა და შეჯამება, რაც მომავალში უფრო განამტკიცებს მეუღლეთა ურთიერთობას.[60]

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ როდესაც კონტრაქტის მხარეები დასაქორწიებელი პირები არიან, მათ შესაძლებლობა ეძლევათ, ქორწინების რეგისტრაციამდე რამდენჯერმე შეცვალონ ან განაახლონ საქორწინო ხელშეკრულება, ხოლო როდესაც ქორწინება უკვე რეგისტრირებულ მდგომარეობამდე მივა, ანუ ქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან მხოლოდ ის საქორწინო კონტრაქტი ჩაითვლება ძალაში შესულად, რომელიც ყველაზე მოგვიანებით იყო დადებული. ხოლო რაც შეეხება ქორწინების რეგისტრაციის შემდგომ დადებულ კონტრაქტს, იგი ძალაში შესულად ავტომატურად მხარეთა ხელმოწერის მომენტიდან ჩაითვლება.

აღსანიშნავია, რომ საქორწინო კონტრაქტის დადებისას საყურადღებო ფაქტორს წარმოადგენს პირის ქმედუნარიანობის საკითხი.[61]

შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირს შეუძლია საქორწინო კონტრაქტი გააფორმოს, მხოლოდ საკუთარი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით. იმ შემთხვევაში თუ კანონიერი წარმომადგენელი არის მეურვე, ამ დროს საოჯახო საქმეთა სასამართლოს თანხმობასაც საჭიროებს ეს საქმე, თუ მეუღლეთა საერთო ქონების განაცილება გამორიცხულად ან შეზღუდულად ითვლება. ქმედუუნარო მეუღლის სასარგებლოდ

---

[60] http://www.library.court.ge/upload/47022012-09-26.pdf - ელ კუსიანი -სტატია 2012 - საქორწინოკონტრაქტი -მოქმედი სამართლებრივი ინსტიტუტი თუ თეორიულ ფორმულ ცია?(3.საქორწინოკონტრაქტის მიზანი)გვ.6

[61] გიორგი.გ.თუმანიშვილი -საქორწინოკონტრაქტი-თბილისი 2010 (თავი მეორე -საქორწინოკონტრაქტის სამართლებრივი რეგულირება შესავალი,-§1საქორწნინოკონტრაქტის დადება, ფორმა,შინაარსი. საქორწინოკონტრაქტის დადება)გვ.81

ხელშეკრულებას მისი კანონიერი წარმომადგენელი დებს. მას არ შეუძლია ჩაერიოს, ანუ შეათანხმოს ვთქვათ ან გააუქმოს მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმი. იმ შემთხვევაში თუ ქმედუუნარო მეუღლის კანონიერი წარმომადგენელი მეურვეა, იგი საჭიროებს კონკრეტულ საქმეში ჩარევის დროს საოჯახო საქმეთა სასამართლოს თანხმობას, ხოლო თუ არსებობს შემთხვევა, როდესაც ქმედუუნარო მეუღლის კანონიერი წარმომადგენელი მზრუნველია, მაშინ ასეთ შეთვევაში იგი საჭიროებს მზრუნველობის საქმეთა სასამართლოს თანხმობას.[62]

უნდა აღვნიშნოთ რომ საქორწინო კონტრაქტის ძირითად ნაწილს მისი შინაარსი წარმოადგენს, სადაც მხარეებს შეუძლიათ საკუთარი თანაცხოვრების პერიოდში შეძენილი ქონების საერთო რეჟიმი განსაზღვრონ. რა საკვირველია მეუღლეებმა შესაძლოა ქორწინების სხვადასხვა პრეიოდში შეიძინონ ესა თუ ის ქონება, და ამ დროს მათ შეუძლიათ თითოეულ მათგანს განუსაზღვრონ სამართლებრივი სტატუსი.

გასათვალისწინებელია, რომ საქორწინო კონტრაქტი შეიძლება ითვალისწინებდეს მეუღეების მონაწილეობას შემოსავლებში, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთ-ერთი მეუღლე იღებს ვალდებულებას, რომ სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული გარკვეული შემოსავლის ნახევარი გადასცეს მეორე მეუღლეს. აგრეთვე კონტრაქტში შეიძლება შეტანილ იქნეს მეუღლეთა მიერ ქორწინების პერიოდში ხარჯების გაწევის წესიც. ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ ყოველწლიურად, შესაძლოა მხარეებმა საერთო შემოსავლებიდან გამოყონ დასვენებისთვის გარკვეული ხარჯები.[63]

უპირველეს ყოვლისა ქართველი კანონმდებელი საქორწინო კონტრაქტზე საუბრისას გამოყოფს იმ პრინციპებს, რომლებიც მეკუთვნება პირად არაქონებრივ უფლებათა რიცხვს, ესენია გვარის არჩევის უფლება, საოჯახო

---

[62] გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (2010 წლის 1 მარტის მდგომარეობით) თბილისი 2010 - §1411- შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე და ქმედუუნაროპირების საქორწინო ხელშეკრულებები.

[63] გიორგი. გ. თუმანიშვილი - საქორწინო კონტრაქტი - თბილისი 2010 (თავი მეორე - საქორწინო კონტრაქტის სამართლებრივი რეგულირება შესავალი, - §1 საქორწნინო კონტრაქტის დადება, ფორმა, შინაარსი. საქორწინო კონტრაქტის დადება - საქორწინო კონტრაქტის შეინაარსი) გვ.88

საკითხების ერთობლივად გადაწყვეტის უფლება, აგრეთვე უფლება თავისუფლად აირჩიონ პროფესია და საქმიანობა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია აირჩიონ თავისუფლად საცხოვრებელი ადგილი.

არსებობს მოსაზრება, რომ ზოგიერთ წყვილს საქორწინო კონტრაქტის შინაარსში შეაქვს ისეთი საკიტხებიც კი, როგორიცაა: თითოეული მეუღლის მიერ წარმოებული პირადი მიმოწერის, პირადი მობილური ტელეფონის შეუხებლობის, პირადი ნივთებით სარგებლობის აკრძალვის უფლებები, და დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას თვითონ მეორე მეუღლე მიიჩნევს ნებადართულად. საქორწინო კონტრაქტში აგრეთვე შესაძლებელია მითითებულ იქნეს დასვენებასთან დაკავშირებული საკითხები, ძილთან დაკავშირებული საკითხები და სხვა. მაგრამ რაც ყველაზე მნიშნველოვანია საქორწინო კონტრაქტი უნდა ითვალისწინებდეს ყოველივე ზემოაღნიშნულზე მეუღლეთა პასუხისმგებლობის საკითხს.[64]

§3. საქორწინო კონტრაქტის შეცვლა, შეწყვეტა და ბათილობა

მხარეებმა უნდა გაითვალისწინონ რომ საქორწინო ხელშეკრულება, ისევე როგორც ნებისმიერი შეთანხმება, არის მხარეთა შორის დადებული ნებელობითი აქტი. შესაბამისად მისი დადებაც და შეწყვეტაც დამოკიდებულია მეუღლეთა ნება-სურვილზე. ამის გათვალისწინებით საქორწინო კონტრაქტის შეცვლაც და შეწყვეტაც ნებიემიერ დროს არის შესაძლებელი.[65]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1179-ე მუხლი ითვალიწინებს მოვალეობებს, რომელთა შეცვლაც საქორწინო კონტრაქტით დაუშვებელია

---

[64] http://www.library.court.ge/upload/47022012-09-26.pdf - ელ კუსიანი -სტატია 2012 - საქორწინო კონტრაქტი - მოქმედი სამართლებრივი ინსტიტუტი თეორიულ ფორმულ ცია? (4. მეუღლეთა პირადი ხასიათის უფლება - მოვალეობების გათვალისწინება საქორწინო კონტრაქტში)გვ.7

[65] გიორგი. გ. თუმანიშვილი - საქორწინო კონტრაქტი - თბილისი 2010 (თავი მეორე - საქორწინო კონტრაქტის სამართლებრივი რეგულირება შესავალი, (§II საქორწინო კონტრაქტის შეცვლა, შეწყვეტა, ბათილადცნობა.)გვ.99

და განგვიმარტავს, რომ საქორწინო კონტრაქტით არ შეიძლება შეიცვალოს მეუღლეთა ურთიერთრჩენის მოვალეობა, ანდა მშობლების მოვალეობები შვილების მიმართ, აგრეთვე საალიმენტო მოვალეობები და რაც მთავარია დავის არსებობის შემთხვევაში სასამართლოსადმი მიმართვის უფლება.

როგორც უკვე აღვნიშნე, საქორწინო ხელშეკრულება შესაძლოა შეიცვალოს ან შეწყდეს ნებისმიერ დროს მეუღლეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, დაუშვებელია საქორწინო ხელშეკრულებაზე ცალმხრივად უარის თქმა, ეს გულისხმობს, რომ მხოლოდ ერთი მეუღლის მიერ საქორწინო ხელშეკრულებაზე უარი არ ჩაითვლება მიზანშეწონილად და ამის გამო არ შეწყდება საქორწინო ხელშეკრულება. რაც შეეხება განქორწინების შემთხვევას, რა საკვირველია განქორწინების დროს ავტომატურად წყდება საქორწინო კონტრაქტი.[66] ამრიგად საქორწინო კონტრაქტის შეწყვეტის კანონით დადგენილ საფუძვლებს წარმოადგენს: მეულეთა ურთიერთშეთანხმება, განქორწინება და კონტრაქტის ვადის გასვლა. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ საქორწინო კონტრაქტი სამართვებრივი თვალსაზრისით შეწყვეტილად ჩაითვლება, თუ უკვე შერლდება კონტრაქტით გავთვალისწინებული ყველა პირობა და დათქმა. კონკრეტული საკითხი წამოიჭრა იმ შემთხვევისათვის, თუ მეუღლეებს საქორწინო კონტრაქტში მითითება აქვთ გაკეთებული ისეთი პირობების შესრულებაზე, რომლებიც უნდა შესრულდეს განქორწინების შემდეგ. სწორედ ამიტომ არსებობს დათქმა, რომ კონტრაქტი შეწყდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მასში არსებული ყველა პირობა იქნება შესრულებული.[67]

ამრიგად შემიძლია გადავიდე საქორწინო კონტრაქტის ბათილობაზე, და პირველ რიგში უნდა აღვნიშო, რომ საქორწინო კონტრაქტის ბათილობა ხდება სწორედ იმ ნორმათა მიხედვით, რა ნორმებიც გამოიყენება საქართველოს სამოქლაქო კოდექსში ზოგადად გარიგებებისთვის.

---

[66] ს ა ქ ა რთვ ე ლს ს ა მ ოქ ა ლ ქ ო კ ოდ ე ქ ს ი - მ უხ ლ 1180 - ს ა ქ ორწ ი ნ ო ხ ე ლშ ე კ რულ ბ ი ს შ ე წ ყ ვ ე ტ ა .

[67] გ ი ორგ ი . გ . თუმ ა ნ ი შ ვ ი ლ ი - ს ა ქ ორწ ი ნ ო კ ონ ტრ ა ქ ტ ი - თბ ი ლ ს ი 2010 (თ ა ვ ი მ ე ორ ე - ს ა ქ ორწ ი ნ ო კ ონ ტრ ა ქ ტ ი ს ს ა მ ა რთლ უ ბ რ ი ვ ი რ ე გ ულ ირ ე ბ ა შ ე ს ა ვ ა ლ ი , (§II ს ა ქ ორწ ი ნ ო კ ონ ტრ ა ქ ტ ი ს შ ე ც ვ ლ ,
შ ე წ ყ ვ ე ტ ა , ბ ა თ ი ლ ბ დ ც ნ ობ ა .)გ ვ .101

განვმარტავ, რომ ბათილია ყველა საქორწინო კონტრაქტი, რომელიც დადებულია ერთი მეუღლის მიერ მეორე მეუღლეზე გავლენის ბოროტად გამოყენების მიზნით. აგრეთვე ბათილად მიიჩნევა ყველა ის საქორწინო კონტრაქტი, რომელიც დადებულია მოსაჩვენებლად და არ ისახავს მიზნად იმას, რომ მას რაიმე იურიდიული შედეგები მოჰყვეს. აგრეტვე უნდა აღვნიშნო, რომ ბათილად მიიჩნევა საქორწინო კონტრაქტი, რომელიც მცირეწლოვანის ან სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარებული პირის მიერ არის დადებული, ამასთანავე თუ დადებულია სულით ავადმყოფის მიერ რომელიც შესაძლოა არ იყო სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარებული. კანონი აგრეთვე მიიჩნევს ბათილად ისეთ საქორწინო კონტრაქტ, რომელიც კანონით დადგენილი ფორმის დაუცველად არის დადებული, ან თუ დადებულია მოტყუებით ანდა იძულებითი ფორმით, როდესაც ერთი მეუღლე მეორეს იძულებითი ფორმით აწერინებს ხელს საქორწინო კონტრაქტზე.[68] ყველა ეს ზემოთ აღნიშნული გარემოებეის გათვალისწინებით, მსგავსი შინაარსით ან მსგავს პირობებში დადებული ყველა საქორწინო კონტრაქტი მიჩნეულია ბათილად.

სამწუხარო რეალობას წარმოდგენს ის ფაქტი, რომ დღეისათვის საქართველოში არ არსებობს ფორმულარი, რომელსაც ნოტარიუსი გამოიყენებდა საქორწინო კონტრაქტის დადებისას. ფორმულიარზე როდესაც გვაქვს საუბარი უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან ისეთი ფორმულიარი, რომლის სუბიექტები ჯერ კიდევ დასაქორწინებელი პირები არიან და ფორმულიარი, რომლის სუბიექტებად უკვე გვევლინებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლეები. ამ ორ კატეგორიას შორის სხვაობა მდგომარეობს იმაში, რომ ჯერ არარსებულ ქორწინებაში მყოფი პირები ფიქრობენ იმაზე, თუ რომელ სამართალმგომარეობაზე განსაზღვრონ უფლება-მოვალეობები ქორწინების რეგისტრაციის შემდგომ,

---

[68] გ ი ო რ გ ი . გ . თუმ ა ნ ი შ ვ ი ლ ი - ს ა ქ ო რ წ ი ნ ო კ ო ნ ტ რ ა ქ ტ ი - თ ბ ი ლ ს ი 2010 (თ ა ვ ი მ ე ო რ ე - ს ა ქ ო რ წ ი ნ ო კ ო ნ ტ რ ა ქ ტ ი ს ს ა მ ა რ თ ლ უ ბ რ ი ვ ი რ ე გ ულ ი რ ე ბ ა შ ე ს ა ვ ა ლ ი , (§II ს ა ქ ო რ წ ი ნ ო კ ო ნ ტ რ ა ქ ტ ი ს შ ე ც ვ ლ ,
შ ე წ ყ ვ ე ტ ა , ბ ა თ ი ლ დ ც ნ ო ბ ა - ს ა ქ ო რ წ ი ნ ო კ ო ნ ტ რ ა ქ ტ ი ს
ბ ა თ ი ლ ბ ა)გ ვ .102

ხოლო რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირები განსაზღვრავენ უკვე არსებული მდგომარეობიდან გამოსავალს განქორწინებსი შემდგომ და იმ უფლება-მოვალეობებზე ფიქრობენ, რომლებიც თითოეულ მათგანს წაადგება სასიკეთოდ.[69]

დღეისათვის მართლაც რომ ეჭვგარეშეა ის ფაქტი, რომ საქართველოში საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტი ნაკლებად არსებობს და რომ იგი ნაკლებად სიცოცხლისუნარიანია. რადგან საქართველოში წყვილებისათვის სასირცხვოა საქროწინო კონტრაქტის შეთავაზების ფაქტი. ამ ისნტიტუტისადმი ზედელე დამოკიდებულება გამოწვეულია იმით, რომ საზოგადოების უმეტესობამ არც კი იცის არსებობს თუ არა ამ ისნტიტუტის ნორმები სამართალში.

იმისათვის, რომ საზოგადოებამ ყრადღების ქვეშ მოაქციოს საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტი, აუცილებელია მათი დაინტერესება კონკრეტულ სფეროში. აუცილებელია საქორწინო კონტრაქტის დადებამ სავალდებულო ხასიათი მიიღოს, რაც უფრო მეტ ინტერესს გამოიწვევს საზოგადოებაში. იმ შემთხვევაში თუ ეს ინსტიტუტი სავალდებულო ხასიათს შეიძენს, დაინეტესება იქნება მაღალი რამდენად შესაძლებელია მისი გამოყენება, გამოცდა, რამდენად განხორციელებად პროექტს წარმოადგენს იგი და რამდენად სჭირდება მისი განხორციელება ქართულ საზოგადოებას.[70]

თავი IV

უცხო ქვეყნის სასამართლო პრაქტიკა

§1. ტაჯიკეთის სახელმწიფოს საკანონმდებლო რეგულაციები ქორწინებასთან დაკავშირებით

---

[69] გ ი ორ გ ი . გ . თუმ ა ნ ი შ ვ ი ლ ი - ს ა ქ ორწ ი ნ ო კ ონ ტრ ა ქ ტ ი - თბ ი ლ ი ს ი 2010(თ ა ვ ი მ ე ორ ე - ს ა ქ ორწ ი ნ ო კ ონ ტრ ა ქ ტ ი ს ს ა მ ა რ თლ უ ბ რ ი ვ ი რ ე გ ულ ირ ე ბ ა შ ე ს ა ვ ა ლ ი , (§III ს ა ქ ორწ ი ნ ო კ ონ ტრ ა ქ ტ ი ს ფ ორ მ ულ ბ რ ი ს ს რ ულ ყ ოფ ი ს ა თ ვ ი ს)გ ვ .104

[70] http://www.library.court.ge/upload/47022012-09-26.pdf - ე ლ ბ კ უ ს ი ა ნ ი -ს ტ ა ტ ი ა 2012 - ს ა ქ ორწ ი ნ ო კ ონ ტრ ა ქ ტ ი - მ ოქ მ ე დ ი ს ა მ ა რ თლ უ ბ რ ი ვ ი ი ნ ს ტ ი ტ უ ტ ი თუ თ ე ორ ი ულ ფ ორ მ ულ ბ ც ი ა ? (5. დ ა ს კ ვ ნ ა)გ ვ .8

საქართველოსა და უცხო ქვეყნის სასამართლო პრაქტიკას თუ გადავხედავთ ბევრ საყურადღებო ფაქტს წავაწყდებით. მაგალითად ტაჯიკეთში დეპუტატებმა უცხოელებთან ქორწინების შეზღუდვა დააწესეს, და აზრი გამოთქვეს იმის შესახებ, თუ რომელიმე უცხოელი გადაწყვეტს მათი ქვეყნის მოქალაქეზე დაქორწინებას, მაშინ მას მოუწევს ხელისუფლების მიერ დადგენილი რიგი პირობების შესრულება. დუშანბეში მიიჩნევენ, რომ თუ გამკაცრდება ქორწინების პროცედურები, ამით ხელისუფლება დაიცავს საკუთარი მოქალაქეები უფლებებს. უფლებადამცველების თქმით საყურადღებოა აგრეთვე დისბალანსი, რადგან ბოლო ხუთი წლის მანძილზე ტაჯიკეთში 2696 ქორწინების კავშირი გაფორმდა უცხოელებთან, და ამავე დროს საყურადღებოა ისიც, რომ ამავე ქორწინებებიდან 600 შემთხვევა განქორწინებით დასრულდა. ადამიანის უფლებათა დამცველები აგრეთვე გამოყოფენ იმ ფაქტსაც, რომ ტაჯიკეთში როდესაც მოხდა სამოქალაქო ომი, დაიწყო შრომითი მიგრაცია. ერთ კაცზე სამი ან ოთხი ქალი მოდის და გადა ამისა კიდევ ტაჯიკელი მამაკაცები სამუშაოდ უცხო ქვეყნებში კერძოდ, რუსეთსა და ყაზახეთში მიდიოდნე, იქ ქორწინდებოდნენ და იქვე სახლდებოდნენ, სწორედ ამის გამო გაიზარდა ტაჯიკელი ქალების უცხო ქვეყნის მამაკაცებზე დაქორწინების რისკი. ტაჯიკეთის ხელისუფლება გამოსავალს აგრეთვე ხედავს საქორწინო ხელშეკრულების გაფორმებაშიც ტაჯიკეთის მოქალაქეებსა და უცხოელებს შორის, რომელიც არც თუ ისე პოპულარულია დღეს ტაჯიკეთში. ბევრი წყვილი მიიჩნევს რომ ასეთი ხელშეკრულების გაფორმება მათ უფლებებს არღვევს, რადგან იგი უნდა გაფორმდეს არა მხოლოდ მათსა და უცხოელებს შორის, არამედ ყველა ტაჯიკეთის მოქალაქეს შორის, რომლებიც დაქორწინებას გადაწყვეტენ. ამით ხელისუფლება დაიცავს ქალთა უფლებებს, რადგან მათთან ხშირია ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია.

საყურადღებოა აგრეთვე ის ფაქტიც, რომ ტაჯიკეთში ხშირია არარეგისტრირებული ქორწინებები, რადგან ტაჯიკეთი მუსულმანური

ქვეყანაა იქ ხდება მუსულმანური ქორწინება, ასეთ დროს განქორწინების შემთხვევაში ქალი ხშირად დარჩენილა საცხოვრებელი ადგილის გარეშე, რაც მართლაც რომ საყურადღებო ფაქტს წარმოადგენს.[71]

ბელორუსიაში, ახალი კანონი შევიდა ძალაში, რომელიც შეამოწმებს საკუთარი და უცხო ქვეყნის მოქალაქეთა იდენტიფიცირებას, აგრეთვე ქორწინებაში მყოფი წყვილების შემოწმებაზე იქნება კონოროლი დაწესებული, თუ რამდენად ნამდვილია მათი დაქორწინების სურვილი და განზრახვა. ზოგადად ერთი შეხედვით კანონზე ,, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ“ დაყრდნობით სახელმწიფო ორგანოები აფართოებენ უცხოელთა უფლებებს, რადგან უფრო მეტი ტურისტი მოიზიდონ ბელორუსიაში და გაამყარონ ეკონომიკა. აგრეთვე საყურადღებოა ის ფაქტი, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ბელორუსიაში ყოფნის დრო გაიზარდა, მათ შეუძლიათ ქვეყანაში გაჩერდნენ სამიდან ხუთ სამუშაო დღემდე, ხოლო რაც შეეხება რუსეთის, ლატვიასა და ლიტვას მოქალაქეებს მათ შესაძლებლობა აქვთ ქვეყანაში ერთი თვის განმავლობაში გაჩერდნენ.[72]

საქართველოში ქორწინების პირობები იმ ქვეყნის სამართალს ექვემდებარება, რომელსაც დასაქორწინებელი პირი განეკუთვნება. როდესაც გვაქვს შემთხვევა, როცა დასაქორწინებელი პირთაგან ერთ-ერთი საქართველოს მოქალაქეა, და რა თქმა უნდა, ადგილსამყოფელიც აქვს საქართველოში, ასეთ დროს შესაძლებელია საქართელოს სამართლის გამოყენება, თუ მაგალითად სხვა ქვეყნის სამართალი ჩვენი ქვეყნის სამართალთან შედარებით ზქორწინების თავისუფლებას ზღუდავს, ან თუ წინა ქორწინება ახალ ქორწინებას არ უშლის ხელს, თუ არსებობს ფაქტი, რომ წინა ქორწინება სასამართლოს გადაწყვეტილებით ბათილად ან შეწყვეტილად იქნა ცნობილი, თუ გვაქვს ისეთი შემთხვევა, როდესაც სასამართლომ დასაქორწინებელი პირის ყოფილი მეუღლე ცნო

[71] Таджикистан вводит ограничения на браки с иностранцами ,Анора СаркороваРусская служба Би-би-си, Душанбе 27 января 2011

[72] Брак с иностранцем проверит белорусская милиция, Татьяна МельничукРусская служба Би-би-си, Минск 23 июля 2010

გარდაცვლილად. რაც შეეხება ქორწინების ფორმას უცხოელებთან, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად ფორმა განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც განხორციელდება ქორწინება. თუ ერთ-ერთი მეუღლე რომელიც არის უცხოელი არ არის საქართველოს მოქალაქე, მაშასადამე ქორწინება საქართველოში განხორცილედება მარამ იმ ქვეყნის სამართლით, რომელსაც ეს პირი განეკუთვნება.[73]

საყურადღებო ფაქტია, რომ 2006 წლის 11 თვეში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტომ საქართველოს 4913 მოქალაქეზე უცხო ქვეყნის მოქალაქესთან დასაქორწინებლად შესაბამისი დოკუმენტი გასცა. რაც ასევე მნიშვნელოვანია საქართველოს 482-მა მოქალაქემ უცხოელთან ქორინების რეგისტრაციისათვის მიიღო ნებართვა. სამოქალაქო რეესტრის ცნობით, საქართველოს მოქალაქეები, ძირითადად რუსეთის, საბერძნეთის, აშშ-ის, ისრაელის, თურქეთის და გერმანიის მოქალაქეებზე ქორწინდებიან, მაგრამ არსებობს სხვა შემთხვევებიც, როდესაც მოქალაქეები ითხოვნენ ნებართვას დიდი ბრიტანეთის, აზერბაიჯანის, უკრაინის და სხვა ქვეყნის მოქლაქეებთან ქორწინების თაობაზე. შესაბამისად საქართველოს ხელისუფლება არ უშლის ხელს საკუთარ მოქლაქეებს უცხო ქვეყნის მოქალაქეებთან ქორწინებაში.[74]

აღსანიშნავია, რომ ბელორუსიაში არსებობს საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომელიც არეგულირებს უცხოელებთან განქორწინების საკითხებს, განსაკუთრებით იმ მეუღლეებზე ვრჩელდება ეს ნორმები, რომლებიც უცხო ქვეყნის მოქალაქეები არიან. დსთ-ის კონვენცია ითვალისწინებს ისეთ მდგომარეობაში ქორწინებას, როდესაც მეუღლეები სხვადასხვა ქვეყნებში ცხოვრობენ.

ბელორუსიის რესპუბლიკაში ყოველი მეოთხე ქორწინება, არის ქორწინება უცხო ქვეყნის მოქალაქესთან. განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტიც,

---

[73] საქართველოს კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ - 1998 წელი - NN19-20 - თავი VII საოკახო სამართალი - მუხლი 44 ქორწინების პირობები

[74] http://www.justice.gov.ge/News/Detail?newsId=2751 - უცხო ქვეყნის მოქალქეებთან დასაქორწინებლდ 11 თვეში დოკუმენტი საქართველოს 4913 მოქალქეზე გაიცა (21 დეკემბერი 2006)

რომ უცო ქვეყნის მოქალაქეებს პარბორტში აქვთ მითითება თუ ის არის დაქორწინებულ და თუ განქორწინებულია.

როდესაც დგება განქორწინების მომენტი, და წყვილს არ ჰყავთ შვილი, ასეთ დროს შესაძლებელია მოხდეს განქორწინების დაჩქარება, ამ დროს სასამართლოს შეუძლია გარკვეული ნორმების თანახმად დააჩქაროს ის განქორწინების პროცესი, რომელიც შეიძლებოდა რამდენიმე თვე გაგრძელებულიყო.[75]

§2. ქორწინება და განქორწინება რუსეთის კანონმდებლობის მიხედვით

საერთაშორისო ოჯახის კანონით ქორწინების დამახასიათებელი თვისება სამართლებრივი განსაზღვრის პრაქტიკული არარსებობაა. ეს კანონი რომელიც რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზეა მიღებული, ზოგიერთ უცხო სახელმწიფოსთვის მიუღებელია. უცხო სახელმწიფოებში მიუღებელია ზოგჯერ დაკანონებული სამოქალაქო ქორწინება, რომელიც განმარტავს ქორწინების ისეთ ფორმას, რომელიც ითვალისწინებს მხოლოდ მამაკაცისა და ქალის კავშირს.

საერთაშორისო ოჯახის კანონი არ შეიძლება ნორმის არსებობის გარეშე იქნეს წარმოდგენილი, ან იმ პრინციპებისგან დამოუკიდებლად, რომლებიც მას ახასიათებს.[76]

რუსეთის ფედერაციაში ქორწინება რეგისტრირებულია როგორც რუსეთის მოქალაქეებსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს შორის, აგრეთვე მხოლოდ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს შორის. იმის მიუხედავად, თუ რომელი ქვეყნის მოქალაქეა დასაქორწინებელი პირი, თუ იგი ქორწინდება რუსეთის

[75] УДК 314.5.06 Правовое регулирование регистрации и расторжения брака с участием иностранных граждан - Минский институт управления, 2012-страница 11-12

[76] Международное семейное право, Международные нормы в семейном праве, страница 2

ფედერაციის ტერიტორიაზე, მასზე ვრცელდება რუსეთის კანონმდებლობა. ეს მინიშნება მიუთითებს იმაზე, რომ ქორწინება უნდა განხორციელდეს რეესტრში. ამასთანავე რელიგიური წესების შესრულება და საბაჟო წესების მიხედვით ქორწინება რუსეთის კანონმდებლობის მიხედვით სამართლებრივ შედეგებს არ იძლევა.[77]

რუსეთის კანონმდებლობა ასევე განსაზღვრავს რუსეთში ქორწინების შეთანხმების პროცედურას, ეს ვრცელდება ისეთ შემთხვევებში, როდესაც მომავალი მეუღლეები არიან უცხოეთის მოქალაქეები. როგორც წესი, ერთი თვის განმავლობაში ისინი განცხადებას წარუდგენენ სამოქალაქო რეესტრის ოფისს ქორწინების თაობაზე. ქორწინების სახელმწიფო რეგისტრაცია ხდება სამოქალაქო სტატუსის აქტების სახელმწიფო რეგისტრაციისთვის დადგენილი წესით.

რუსეთის ფესდერაციის კანონმდებლობის თანახმად მეუღლეთა უფლებები და მოვალეობები წარმოიშობა ქორწინების რეგისტრაციაში გატარების მომენტიდან.[78]

ქორწინების რეგისტრაცია ხდება სამოქალაქო აქტების სახელმწიფო რეგისტრაციისათვის დადგენილი წესით. [79]

უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის ფედერაციაში მსგავსი, ანუ უცხოელთა ქორწინებები, ან რუსეთის მოქალაქეთა ქორწინება უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე უფრო და უფრო გახშირებულია, რაც ტურისტული განვითარების კუთხით დიდ მიღწევას წარმოადგენს, თუმცა გამკაცრებულია გარკვეული სახის ნორმების გამოყენება ქორწინების საკითხთან დაკავშირებით.[80]

---

[77] екция 13. Семейные правоотношения в международном частном праве , 13.2. Заключение брака

[78] семейный кодекс российской федерации –(29.12.1995) - Раздел II. Заключение и прекращение брака ,Глава 3. Условия и порядок заключения брака , Статья 10. Заключение брака

[79] семейный кодекс российской федерации –(29.12.1995)- Раздел II. Заключение и прекращение брака ,Глава 3. Условия и порядок заключения брака- Статья 11. Порядок заключения брака

[80] Проблемы хромающих браков в современном международном праве , Зарубин Н. Н., Савченко Д. В.

ქორწინების სურვილის შემთხვევაში აუცილებელია დასაქორწინებელი პირების ნებაყოფლობიი თანხმობა ქორწინებაზე და ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ დასაქორწინებელი პირები აუცილებლად უნდა იწყვნენ საქორწინო ასაკს მიღწეულნი.[81]

საქორწინო ასაკად დადგენილია 18 წელი, სხვა შემთხვევაში შესაძლებელია აგრეთვე 16 წელს მიღწეული პირისათვისაც ქორწინება, მაგრამ მხოლოდ გარკვეული სუბიექტების თანხმობით.[82]

უნდა გავითვალისწინოთ, რომ რუსეთის კანონმდებლობა იცნობს აგრეთვე ისეთ ნორმებს, როგორიცაა ქორწინების დამაბრკოლებელი, ანუ ხელისშემშლელი გარემოებები. თუ არის შემთხვევა, როდესაც ერთ-ერთი სადაქორწინებელი პირი იმყოფება უკვე ქორწინებაში, რომელიც რეგისტრირებულია ასეთ დროს გამორიცხულია მეორე ქორწინება. თუ დასაქორწინებელი პირები არიან ახლო ნათესავები, ვტქვათ აღმავალი ან დაღმავალი ხაზის ნათესავები ასეთ დროს კანონი კრძალავს მათ დაქორწინებას. თუ დასაქორწინებელ პირთაგან ერთ-ერთი სასამართლომ აღიარა ფსიქიურად აშლილად ანუ შეურაცხადად აღიარებულია ერთ-ერთი საქორწინე პირი ასეთ დროსაც ვერ მოხერხდება ქორწინება.[83]

რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობა აგრეთვე იცნობს ქორწინების შეწყვეტის შემტხვევებს. განსახილველ საკითხს წარმოადგენს ქორწინების შეწყვეტის საფუძვლები, თუ ამ შემთხვევაში რა იწვევს ქორწინების შეწყვეტას. პირველ რიგში ქორწინება წყდება სიკვდილის ან სასამართლოს მიერ ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვლილად გამოცხადების გამო, აგრეთვე ქორწინება წყდება ტრადიციული წესით, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთ-ერთ მეუღლეს სასამართლოში შეაქვს განცხადება განქორწინებსი თაობაზე, რის

---

[81] семейный кодекс российской федерации –(29.12.1995)- Раздел II. Заключение и прекращение брака ,Глава 3. Условия и порядок заключения брака- СК РФ Статья 12. Условия заключения брака

[82] семейный кодекс российской федерации –(29.12.1995)- Раздел II. Заключение и прекращение брака ,Глава 3. Условия и порядок заключения брака- СК РФ Статья 13. Брачный возраст

[83] семейный кодекс российской федерации –(29.12.1995)- Раздел II. Заключение и прекращение брака ,Глава 3. Условия и порядок заключения брака- СК РФ Статья 14. Обстоятельства, препятствующие заключению брака

შემდეგაც სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ეს ქორწინება წყდება.[84]

გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მეუღლეს არ აქვს უფლება განქორწინების საქმე აწარმოოს მისი მეუღლის ორსულობის პერიოდში ან მანამ სანამ ბავშვი ერთი წლის არ გახდება საკუთარი მეუღლის თანხმობის გარეშე. საბოლოოდ მეუღლეთა განქორწინება ხდება სამოქალაქო რეესტრის ოფისებში, სასამართლო სამართალწარმოებაში. საამართლოში განქორწინება ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო დაადგენს რომ მეუღლეთა შორის თანაცხოვრება მომავალში და ოჯახის შენარჩუნება არის შეუძლებელი. თუმცა სასამართლო მაინც აღლევს მეუღლეებს შერიგების ვადას რაც ითვალისწინებს 3 თვეს, თუმცა იმ შემთხვევაში როდესაც მეუღლეების შერიგება ამ სამი თვის განმავლობაში არ მოხდება სასამართლო გადაწყვეტილებას მიიღებს და მოხდება წყვილის განქორწინება.

როდესაც საქმე გვაქვს ისეთ ვითარებასთან, როდესაც სასამართლოდ მიერ უგზოუკვლოდ დაკარგული მეუღლე ან გარდაცვლილად აღიარებული მეუღლე გამოჩნდება, ასეთ შემთხვევაში სასამართლო აღადგენს შეწყვეტილ ქორწინებას.[85]

რუსეთის ფედერაციის მოქალაქეთა და უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ან მოქალაქეობის არ მქონე პირებს შორის ქორწინება, აგრეთვე რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეთა შორის ქორწინება ხორციელდება რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობის შესაბამისად.

---

[84] семейный кодекс российской федерации –(29.12.1995) Раздел II. Заключение и прекращение брака, Глава 4. Прекращение брака- СК РФ Статья 16. Основания для прекращения брака

[85] семейный кодекс российской федерации –(29.12.1995)- Раздел II. Заключение и прекращение брака, Глава 4. Прекращение брака- К РФ Статья 17. Ограничение права на предъявление мужем требования о расторжении брака - СК РФ Статья 18. Порядок расторжения брака -СК РФ Статья 22. Расторжение брака в судебном порядке при отсутствии согласия одного из супругов на расторжение брака -СК РФ Статья 26. Восстановление брака в случае явки супруга, объявленного умершим или признанного безвестно отсутствующим

გარკვეულ შემთხვევებში რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე მცხოვრებ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეს უფლება აქვს მოითხოვოს უცხო ქვეყნის მოქალაქესთან ქორწინება.

რაც შეეხება რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე რუსეთის მოქალაქისა და უცხო ქვეყნის მოქალაქის განქორწინების საკითხს, ამას კანონმდებლობის შესაბამისად აწესრიგებენ კომპეტენციის მიხედვით გარკვეული ორგანოები და რს ფედერაცია კონკრეტულ ქორწინებას საკუთარი კანონმდებლობის თანახმად აღიარებს შეწყვეტილად. რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეებს შორის ქორწინების გაუქმებისას, გამოიყენება სახელწიფოს საგარეო კანონმდებლობა, რომელიც ადგენს ამ ქორწინების გაუქმებიდა და განქორწინების შესახებ გადაწყვეტილებად, შესაბამისად ასეთი დადგენილება ითვლება ძალაში შესულად.[86]

თავს ვერ ავარიდებთ იმ ფაქტს, რომ ისევე როგორც მრავალი ქვეყანა, რუსეთის ფედერაციაც არ არის გამონაკლისი, და აქაც ვლინდება ერთსქესიანთა ქორწინების ასპექტები. მაგალითად რუსეთის ორმა მოქალაქემ, დანიაში განახორციელეს ერთსქესიანთა ქორწილი, ანუ მამრობითი სქესის წარმომადგენლებმა იქორწინეს, რომელბიც შემდგომ ითხოვდნენ რუსეთის კანონმდებლობით აღიარებას. მართალია ისინი არ ითვლებოდნენ რუსეთში დაქორწინებულად, რადგან დანიაში იქორწინეს, თმცა რუსეთის კანონმდებლობის თანახმად აუცილებელია რუსეთის ფედერაციამაც აღიაროს ეს ქორწინება. თუმცა ისიც საყურადღებოა, რომ რუსეთის ხელისუფლება ჰომოფობიურ პოლიტიკას ეწევა, რადგან არ სურთ სხვა მოსახლეობის ნაწილმაც იგივე მოქმედებები განახორციელონ. ამიტომ მათ კანონმდებლობას უნდა გადახედონ და დაარწმუნონ საზოგადოება, რომ ვერ მოხერხდება ვერანაირად უცხო ქვეყანაში დაკანონებული ქორწინების აღიარება რუსეთის ფედერაციის მიერ.[87]

---

[86] http://www.consultant.ru/document/cons_doc_LAW_8982/a82ea9bccfb73f66fc5eac8d9a3ca4eb87e6af5f/ "Семейный кодекс Российской Федерации" от 29.12.1995 N 223-ФЗ (ред. от 29.05.2019) СК РФ Статья 160. Расторжение брака

[87] В Москве признали брак между двумя мужчинами. Такое возможно? (18:49, 26 января 2018)

§3. ქორწინების გაუქმება გერმანიის კანონმდებლობის თანახმად

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი საუბრობს ქორწინების გაუქმებაზე, რომელიც შესაძლებელია სხვადასხვა გზების მეშვეობით განხორციელდეს, თუმცა ერთ-ერთი მთავარი არის განქორწინება. არ შეიძლება ყველა ქორწინების გაუქმება, ამისათვის გარკვეული პირობების არსებობაა საჭირო.[88]

ქორწინების გაუქმება შესაძლებელია, მხოლოდ სასამართლოში განქორწინების შესახებ განცხადების წარდგენით, ამის შემდგომ სასამართლოდ გადასწყვეტილება როდესაც შევა ძალაში ქორწინების გაუქმების შესახებ, უკვე ქორწინება ამვტომატურად გაუქმებულად ითვლება. ქორწინების გაუქმების საფუძვლად მიიჩნევა ისეთი გარემოება, როგორიცაა საქორწინო ასაკი, რაც ნიშნავს იმას, რომ თუ დასაქორწინებელი პირი არ არის მიღწეული საქორწინო ასაკამდე, რომელსაც 18 წელი წარმოადგენს ასეთ შემთხვევაში ქორწინება გაუქმდება. აგრეთვე თუ დასაქორწინებელი პირი ქმედუუნაროა, ან თუ ერთ-ერთი მეუღლე უკვე იმყოფება ქორწინებაში, იგი ვერ შეძლებს ხელმეორედ დაქორწინებას. ქორწინების გაუქმების საფუძველს წარმოადგენს აგრეთვე დასაქორწინებელ პირთა შორის აღმოჩენილი ნათესაური კავშირი,თუ აღმავალი ან დაღმავალი ხაზის ნათესავები არიან, ან თუ არიან და ძმა და სხვა.

როდესაც არსებობს შემთხვევა, რომ ერთ-ერთი მეუღლე იმყოფება დროებითი ფსიქიური აშილობის მდგომარეობაში, ან თუ ერთ-ერთმა მეუღლემ არ იცის, რომ საქმე ეხება ქორწინების გაფორმებას ასეთი შემთხვევები წარმოადგენს ქორწინების გაუქმების საფუძვლებს. ზოგიერთ

---

[88] **https://www.familienrecht.net/ehe/** - Ehe und Eherecht in Deutschland: Den Bund fürs Leben schließen, Hochzeit: Tipps zur Planung, Eheschließung und Co.

შემთხვევაში სახეზე გვაქვს იძულებითი ქორწინება, როდესაც ერთი პირი , ანუ მექორწინე მეორე პირს აიძულებს მასზე დაქორწინებას. ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც მოცემული ქორწინება გაუქმდება.[89]

როდესაც განქორწინება ხდება ერთ-ერთი მეუღლის ნების საწინააღმდეგოდ, ასეთ შემთხვევაში სასამართლო აძლევს 3 წლიან ვადას მეუღლეებს, რომლის გასვლის შემდეგაც სასამართლო ხელმეორედ განიხილავს მათ საქმეს და მიიღებს გადაწყვეტილებას.[90]

შეიძლება აქვს განვიხილოთ გერმანიაში უცხო ქვეყნის მოქალაქეების ან გერმანიის მოქალაქისა და უცხო ქვეყნის მოქალაქის განქორწინების საკითხებიც, რომელიც საკმაოდ საინტერესოდ ჟღერს.

თუ დაქორწინებული მეუღლეები არიან სირიელები, შესაბამისად სირიის მოქალაქეები და ცხოვრობენ გერმანიის ტერიტორიაზე, საინტერესოა რომელი ქვეყნის სამართლის მიხედვით მოხდება განქორწინება და რა წინააღმდეგობები უდევს ყოველივე ამას საფუძვლად. თუ უცხო ქვეყნის მოქალაქეები დაქორწინდნენ გერმანიაში, ასეთ დროს იცინი განქორწინდებიან იმავე ქვეყნის სამართლის მიხედვით, რომელ ქვეყანაშიც გაფორმდა მათი ქორწინება. თუმცა არ აქვს მნიშნველობა თუ სირიელი ცოლ-ქმარი სირიაში დაქორწინდა და ახლა ისინი ცხოვრობენ გერმანიაში, მათ ქორწინებას გერმანია აღიარებს და შესაბამისად განქორწინებაც გერმანიის კანონმდებლობის შესაბამისად მოხდება. თუ ერთ-ერთი მეუღლე გერმანიის მოქალაქეა ხოლო მეორე დაბრუნდა სირიაში, ასეთ შემთხვევაშიც არ იქმნება პრობლემა და გერმანიის მოქალაქეს შეუძლია სირიაში მყოფ მეუღლეს მოსთხოვოს განქორწინება გერმანიის საოჯახო საქმეთა სასამართლოს დახმარებით. რაც შეეხება იმ საკითხრს აღიარებული იქნება

[89] გ ე რ მ ა ნ ი ი ს ს ა მ ო ქ ა ლ ხ ქ ო კ ო დ ე ქ ს ი (2010 წ ლ ი ს 1 მ ა რ ტ ი ს მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ი თ) თ ბ ი ლ ი ს ი 2010 - §1313 ქ ო რ წ ი ნ ე ბ ი ს გ ა უ ქ მ ე ბ ა ს ა ს ა მ ა რ თ ლ ს ი გ ა და წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ი თ, §1314 გ ა უ ქ მ ე ბ ი ს ს ა ფ უ ძ ვ ლ ე ბ ი

[90] https://www.stern.de/wirtschaft/geld/ratgeber-scheidung/vor-der-trennung-wann-eine-scheidung-moeglich-ist-3424832.html - Wann eine Scheidung möglich ist

თუ არა ეს განქორწინება სირიაში ეს უკვე იმაზეა დამოკიდებული სირია თავისი რეგლამენტით აღიარებს თუ არა მსგავს განქორწინებას.[91]

§4. მეუღლეთა ურთიერთთანასწორობა და ქორწინება აშშ-ის კანონმდებლობის შესაბამისად

რელიგიურ, ანუ რწმენით ქორწინებას დიდი ადგილი უკავია ამერიკის შეერთებულ შტატებში, დაახლოებით შვიდი ათეული ადამიანის თქმით, მათი მეუღლე იზიარებთ მათ რელიგიას, სწორედ ამიტომ იუწყებიან, რომ ქორწინება იმავე რელიგიის წარმომადგენელ მეუღლესთან უფრო მტკიცე აღმოჩნდება ხოლმე ვიდრე სხვა რელიგიის წარმომადგენელთან.[92]

შეერთებულ შტატებში ქორწინება იურიდიული, სოციალური და რელიგიური ინსტიტუტია, რომლის სამართლებრივი აღიარება ინდივიდუალური ქვეყნების მიერ რეგულირდება. მნიშნველოვანი და გასათვალისწინებელია საქორწინო ასაკი, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში ადამიანი თვითონ იღებს ქორწინების გადაწყვეტილებას. ქორწინების შესახებ კანონები აშშ-ში მკვეთრად შეიცვალა რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში, მათ შორის ქორწინებისა თუ ქორწინების აკრძალვის შესახებ კანონებიც. აშშ-ს საყოველთაო აღწერის ბიუროს მონაცემებით 2009 წელს 2,007,000 ქორწინება დაფიქსირდა.

ქორწინების მიზეზი შეიძლება იყოს ბავშვები, სიყვარული , ეკონომიკური მდგომარეობა, აგრეთე ქორწინებას მიმართავენ მოქალაქეობის მიღებისთისაც ან მწვანე ბარათის დაუფლების მიზნით. ქორწინება

[91] https://www.scheidung.de/scheidung-und-scheidungsrecht-in-deutschland.html - Scheidung und Scheidungsrecht in Deutschland

[92] https://www.pewresearch.org/fact-tank/2015/06/02/interfaith-marriage/ - Interfaith marriage is common in U.S., particularly among the recently wed

შესაძლებელია შეწყდეს მეუღლის განცხადების საფუძველზე, განქორწინებით ან ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალებით.[93]

სამოქალაქო ქორწინება არის ქორწინება შესრულებული, ჩაწერილი და აღიარებული მთავრობის, ანუ სახელმწიფოს მიერ.

შეერთებულ შტატებში ქორწინება ჯერ კიდევ დიდწილად სახელმწიფოს კანონებით რეგულირდება, თუმცა ყველა სახელმწიფო მოითხოვს ადგილობრივი სამოქალაქო ხელისუფლების მიერ გაცემული ქორწინების ლიცენზიას. სხვადასხვა სახელმწიფო, ან ადგილობრივი თანამდებობის პირები უფლებამოსილი არიან განახორციელონ სამოქალაქო ქორწინების ცერემონია, რომელიც შეიძლება მოხდეს საჯარო სამსახურში.

აშშ-ის გარეთ ჩატარებული ქორწინება იურიდიულად სავალდებულოა, თუ იგი ჩატარებული იქნება ოფიციალურად ქვეყნის მთავრობის მიერ.[94]

ამერიკის შეერთებულ შტატებში აგრეთვე აღიარებულია ერთსქესიანთა ქორწინება. ამ ქორწინების დანერგვა(ასევე ქორწინების თანასწორობა) გათვალისწინებულია ქორწინების შესახებ კანონით, რომელიც ითვალისწინებს ცვლილებებს. ერთსქესიანი ქორწინების აღიარება ითვლება ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო უფლებათა დაცვის გარანტიად. კონკრეტული ქორწინების უპირველესი მხარდამჭერები არიან ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო უფლებათა დამცველი ორგანიზაციები, ხოლო რაც შეეხება მათ ოპონენტებს ესენია, რელიგიური ფუნდამენტური ჯგუფები. [95]

ქორწინების დადგენის პრინციპი მრავალ ქვეყანაში საყურადღებოა, განსაკუთრებით კი აშშ-ში, რომლის უზენაესმა სასამართლომაც დაადგინა, რომ ქორწინება ფუნდამენტური უფლებაა, რომელიც უნდა იყოს დაცული და თანაბარი ყველასათვის. აშშ-ში 1978 წლის ჰააგის კონვენციით აღიარებულია ისეთი ქორწინება, რომელიც სადღესასწაულო ადგილას გაიმართა. ეს კონვენცია აგრეთვე აღიარებს დიპოლიმატიურ და საკონსულო

[93] https://en.wikipedia.org/wiki/Marriage_in_the_United_States - Marriage in the United States
[94] https://en.wikipedia.org/wiki/Civil_marriage - civil marriage
[95] https://en.wikipedia.org/wiki/Same-sex_marriage- same-sex marriage

ქორწინებასაც. ეს კონვენცია აღიარებულ იქნა სამი სასამართლოს მიერ და როგორც ჩანს დიდ გავლენას ახდენს ქორწინების ევოლუციაზე. 1962 წელს გაერთანებული ერების ორგანიზაციაში შემუშავდა პრინციპები, ქორწინების თანხმობის შესახებ, სადაც აგრეთვე საუბარი იყო ქორწინების მინიმალურ ასაკზე და ქორწინების რეგისრაციაზე.

თუმცა რაც შეეხება ერთსქესიანთა ქორწინებას, კონკრეტულ საკითხების განხილვისას გამოიკვეთა ისეთი ფაქტორები, რომლებიც ამბობს, რომ ერთსქესიანთა ქორწინება არღვევს გენდერული თანასწორობის პრინციპებს და ამის შესაბამისად უნდა აიკრძალოს იგი.

აშშ-ის სასამართლოები აგრეთვე დიდ ყურადღებას უთმობენ იძულებითი ქორწინების საკითხებს, და აღიარებულია რომ ასეთი ქორწინება ბათილია და უნდა აიკრძალოს.[96]

აშშ-ში განქორწინება რთული პროცესია, თუმცა როდესაც საქმე ეხება საერთაშორისო განქორწინებას ასეთ დროს უფრო მეტი სირთულეები იჩენს თავს. თუ ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე ხართ და იმყოფებით სხვა ქვეყანაში ქორწინებაში, თუ ამავე დროს გსურთ განქორწინება თქვენ უნდა დაიცვათ ორი განსაკუთრებული პრინციპი: იმ ქვეყნის კანონები სადაც თქვენ გსურთ განქორწინება და აგრეთვე არ უნდა დაგავიწყდეთ დაიცვათ აშშ-ის კანონები. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ზოგიერთი ქვეყანა არ სცემს პატივს აშშ-ის კანონებს ასეთია მაგალითად ინგლისი, რომელიც საერთაშორისო განქორწინების დროს არღვევს აშშ-ის მიერ მიღებულ შეთანხმებებს თუ ხელშეკრულებებს კონკრეტულ ქორწინებასთან დაკავშირებით. ეს იქნება ვთქვათ თანაცხოვრების პერიოდში შეძენილი ქონება ან სხვა მსგავსი ნივთები ასეთ დროს თქვენ შეიძლება დაკარგოთ ქონების ნახევარზე მეტი ვიდრე ამას ითვალისწინებს ვთქვათ აშშ-ის კანონმდებლობა. თუმცა მეორე მხრივ ეს შეიძლება სასიკეთო აღმოჩნდეს მეორე მეუღლისათვის, მაგალითად თუ თქვენ არ ხართ მეუღლე რომელმაც

[96] Marriage and divorce conflicts in international perspective, Ann Laquere Estin, 2017 - II marriage validity and recognition. Page 491-492

გარკვეული აქტივები ან ქონება მოიპოვა, თქვენ შესაძლოა მიიღოთ იმაზე მეტი ფინანსები და ქონება განქორწინების გზით იმ ქვეყანაში, რომელიც არ ასრულებს ვთქვათ მეორე ქვეყნის გარკვეულ შეთანხმებებს.[97]

დასკვნა

ნაშრომის ფარგლებში წარმოდგენილ იქნა ქორწინებისა და განქორწინების ინსტიტუტის კვლევა საქართველოსა და უცხო ქვეყნების მაგალითზე. ნაშრომი იძლევა საშუალებას გავეცნოთ, არა მხოლოდ საქართველოში არსებულ მდგომარეობას ქორწინების თუ განქორწინების კუთხით, არამედ ამ ნაშრომში არაერთ უცხო ქვეყნის მაგალითზე განხილულ პრობლემატურ საკითხებს წააწყდებით.

[97] MAY 28, 2017 - International Divorce: The Complete Guide for United States Expats

სიახლეს არ შეესაბამება ის ფაქტი, რომ დროთა განმავლობაში ნებიემიერი ქვეყნის კანონმდებლობა საჭიროებს გადახედვასა და განახლებას, რადგან მომავალი თაობებისთვის უფრო სრულყოფილი საკანონმდებლო გარემო იქნეს შექმნილი გარკვეული კუთხით.

უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომში ქორწინების ინსტიტუტის ზოგადი მიმოხილვა ჩატარდა საქართველოსა და არაერთი უცხო ქვეყნის მაგალითზე. როგორც უკვე ვიცით ქორწინება არის ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც აუცილებელია იქნეს რეგისტრირებული იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარების ქვეშ შემავალი საქართველოს იურიდიული პირის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში. რაც შეეხება რეგისტრაციის პირობებს, ამისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მექორწინეთა ასაკი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის თანახმად არის 18 წელი, თუმცა ზოგიერთ უცხო ქვეყანაში როგორც კვლევან გვიჩვენა, იყო 18 წელზე დაბალი ზღვარი, რაც ჩემი აზრით, დადებითად არ უნდა შეფასდეს. რაც შეეხება საქართველოში არსებულ მდგომარეობას, ვფიქრობ 18 წელი, როგორც საქორწინო ასაკი სრულიად შეესაბამება საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას და რაც მნიშვნელობვანია კონკრეტული ასაკის უფრო ქვემო ზღვრამდე დაწევა არ იქნება სწორი.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად თითქის ყველა ქვეყნის კანონმდებლობა კრძალავს ქორწინებას ნათესავებს შორის, თუ არ ჩავთვლით მუსლიმურ ქვეყნებს, თუმცა არ ერთი ქვეყანა არ გამოყოფს ისე მკაფიოდ იმ სუბიექტებს, რომელთა შორისაც ქორწინება აკრძალულია, როგორც ამას საქართველოს კანონმდებლობა გადმოსცემს.

აგრეთვე მნიშვნელოვან ფაქტორად მიმაჩნია საქართველოში საქორწინო ხელშეკრულების შესახებ არსებული პრაქტიკა, რაც ბევრი ქვეყნის მაგალითის კვლევისას არ გამოიკვეთა. საქორწინო ხელშეკრულება წარმოადგენს, ერთ-ერთ ყველაზე მნიშნველოვან ასპექტს საოჯახო სამართალში და განსაკუთრებით ქორწინებისა და განქორწინების კუთხით, რადგან ამით მექორწინეებს ეძლევათ

შესაძლელობა, საკუთარი სურვილისამებრ წარმართონ ქორწინება, ბავშვის აღსზრდა-განათლება, და რაც მთავარია განკარგონ საკუთარი ქონება როგორც ქორწინების, ასევე განქორწინების პერიოდში, რაც ჩემი აზრით საქართველოსათვის დიდ მიღწევად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

ნაშრომში განხილულია აგრეთვე რუსეთის, გერმანიის და აშშ-ის კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა ქორწინებასთან და განქორწინებასთან დაკავშირებით, სადაც აგრეთვე გამოიკვეთა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, ეს გახლავთ ერთსქესიანთა ქორწინება, რაც როგორც არ უნდა სავალალო იყოს დღევანდელ რეალობას წარმოადგენს. ერთსქესიანთა ქორწინება შესაძლოა ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობით ისაღეია, თუმცა რუსეთის მაგალითს თუ გავიხსენებთ მთლად კანონმდებლობაში შესაბამის ადგილს ვერ იკავებს მსგავსი ნორმები. ვფიქრობ ჯერ კიდევ სიახლეს წარმოადგენს უცხოქვეყნებისთვისაც ერთსქესიანთა ქორწინება, ამიტომ კონკრეტული ნორმები ვერ იქნება გამართული მსგავს საკითხთან დაკავშირებით.

რაც შეეხება ნაშრომში განხილულ უცხო ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას, კვლევების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ საქართველოს კანონმდებლობა ჩემი აზრით ბევრ ქვეყანასთან შედარებით უკეთ გამოიყურება.

თუმცა რა თქმა უნდა გარკვეული შენიშვები და რეკომენდაციები მინდა გავაკეთო ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობასთან დაკავშირებით. ნაშრომი შეიცავს სასამართლო გადაწყვეტილებებს, მათ შორის უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე მიღებული გადაწყვეტილებების, საქართველოში ცნობა-აღსრულების თაობაზე, რაც ჩემი აზრით, მეტად საყურადღებო ფაქტს წარმოადგენს. კონკრეტულ შემთხვევებში სასამართლო უმეტეს შემთხვევებში ეყრდნობა ,,საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლს და მის დებულებებს, რომელშიც დადგენილია უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე მიღებული გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულების საკითხზე უარის თქმის საფუძვლები. ეს არის ის საფუძვლები რომლის, მეშვეობითაც სასამართლოს შეუძლია უარი განაცხადოს უცხო ქვეყნის

ტერიტორიაზე მიღებული გადაწყვეტილებების ცნობა აღსრულებაზე და შესაბამისად მის აღიარებაზე. კონკრეტულ შემთხვევაში ჩემს ინტერესს იწვევს იმ ფაქტი, რომ ნაშრომში განხილული მაქვს ერთ-ერთი გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია უცხო ქვეყნის მიერ, ხოლო საქართველოს სასამართლო მას ნაწილობრივ ცნობს. ისმის კითხვა, თუ რა შემთხვევაში შეიძლება საქართველოს სასამართლომ ნაწილობრივ ცნოს უცხო ქვეყნის მიერ გამოწანილი გადაწყვეტილება. მე ვფიქრობ, რომდესაც საქმეში ფიგურირებს სარჩელთა გაერთიანებები, მაგალითად კონკრეტულ შემთხვევაში საქმე ეხებოდა განქორწინებას და აგრეთვე მეუღლეთა შორის ქონების განაწილებას. ასეთ დროს საქართველოს სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება ნაწილობრივ ცნობის თაობაზე, სარჩელის ერთ-ერთ ნაწილში. ვფიქრობ საქართველოს სასამართლოებს კონკრეტულ შემთხვევაში არ გააჩნიათ შეფერხების რაიმე საფუძველი, რადგან თავისუფლად შეუძლიათ ნებისმიერ ნაწილში ცნონ გადაწყვეტილება, რაც იგულისხმებს, რომ იგი ნაწილობრივ ცნო სასამართლომ. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ნათელი ხდება რომ საქართველოს სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები საბოლოოა და არ ექვემდებარება გადაჩივრებას.

ბოლოს მინდა კიდევ ერთხელ განვმარტო და დავაფიქრისო ჩემი მოსაზრება, რომ მოცემულ ნაშრომში განხილული საკანონმდებლო ინიციატივები და სამართლებრივი ანალიზი ხელს შეუწყობს მეუღლეთა შორის უფლება-მოვალეობათა თანასწორად გაანალიზებისა და დაცვის პრინციპს, აგრეთვე ეს მნიშვნელოვანია სხვადასხვა პრობლემური საკითხის ოპტიმალურად გადაწყვეტისა და მოქმედი კანონმდებლობის სრულყოფისათვის, რაც მეუღლეთა შორის არსებულ კონფლიქტებს, უფლება მოვალეობებს დაალაგებს.

ბიბლიოგრაფია

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი - (26/06/1997)

2. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი - (თბილისი 2010)

3. საქართველოს კანონი საერთაშორიო კერძო სამართლის შესახებ - (1998წელი NN19-20)

4. საქართველოს კანონი უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ (03/06/1993)

4. საერთაშორისო კერძო სამართალი - თ.ლილუაშვილი (თბილისი 2001)

7. საოჯახო სამართალი - რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია (გამომცემლობა მერიდიანი - თბილისი 2011)

8. საქორწინო კონტრაქტი - მონოგრაფია - გიორგი გ.თუმანიშვილი (თბილისი 2010)

10. ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი - ზვიად გაბისონია (თბილისი 2016)

11. "Семейный кодекс Российской Федерации" от 29.12.1995 N 223-ФЗ (ред. от 29.05.2019)

13. Международная унификация права, регулирующего заключение и прекращение брака – Статья – (год: 2003) , Софья Станиславовна.

14. Таджикистан вводит ограничения на браки с иностранцами - Анора СаркороваРусская служба Би-би-си, Душанбе – Статья , (27 января 2011)

15. Международное семейное право

16. Конвенция о согласии на вступление в брак, брачном возрасте и регистрации,(7 ноября 1962 года Браков) - Статья

17. Детские браки: 39 000 каждый день – Статья,(7 марта 2013 г.)

18. Брак с иностранцем проверит - белорусская милиция - Татьяна МельничукРусская служба Би-би-си, (Минск 23 июля , 2010- Статья)

20. секция – современые тенденции в развитии международного частного права, Анцух Н. С., Белорусский государственный университет.

23. екция 13. Семейные правоотношения в международном частном праве - Заключение брака

24. правовое регулирование заключения брака в международном семейном праве: праблемы и реалии –Н.С. байбороша- статья

25. сравнителъное и международное семейном право – Н.С. Анцух –(минск 2015)

27. семейный кодекс российской федерации –(29.12.1995)

26. В Москве признали брак между двумя мужчинами. Такое возможно? (5 карточек 18:49, 26 января 2018, статъя)

27. Проблемы хромающих браков в современном международном праве , Зарубин Н. Н., Савченко Д. В.

28. УДК 314.5.06 Правовое регулирование регистрации и расторжения брака с участием иностранных граждан - Минский институт управления,(2012)

26. Marriage and divorce conflicts in international perspective , Ann laquer estin, (2017)

27. MAY 28, 2017 - International Divorce: The Complete Guide for United States Expats

27. international family law - Barbara Stark –(2005)

ვებ-საიტები

1. http://legalaid.ge/ka/services/182/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9D%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98 - იურიდიული დახმარების სამსახური - საოჯახო სამართალი

2. http://www.library.court.ge/upload/47022012-09-26.pdf - ელ კუსიანი -სტატია 2012 - საქორწინო კონტრაქტი - მოქმედი სამართლებრივი ინსტიტუტი თუ თეორიულ ფორმულა ცია ? (3. საქორწინო კონტრაქტის მიზანი)

3. http://www.justice.gov.ge/News/Detail?newsId=2751 - უცხოქვეყნის მოქალაქეებთან და საქორწინებლად 11 თვეში დოკუმენტი საქართველოს 4913 მოქალაქეზე გაიცა (21 დეკემბერი 2006)

4. http://www.consultant.ru/document/cons_doc_LAW_8982/a82ea9bccfb73f66fc5eac8d9a3ca4eb87e6af5f/ СК РФ Статья 160. Расторжение брака

5. **https://www.familienrecht.net/ehe/** - Ehe und Eherecht in Deutschland: Den Bund fürs Leben schließen, Hochzeit: Tipps zur Planung, Eheschließung und Co.

6. https://www.stern.de/wirtschaft/geld/ratgeber-scheidung/vor-der-trennung-wann-eine-scheidung-moeglich-ist-3424832.html - Wann eine Scheidung möglich ist

7. https://www.scheidung.de/scheidung-und-scheidungsrecht-in-deutschland.html - Scheidung und Scheidungsrecht in Deutschland

8. https://www.pewresearch.org/fact-tank/2015/06/02/interfaith-marriage/ - Interfaith marriage is common in U.S., particularly among the recently wed

9. https://en.wikipedia.org/wiki/Marriage_in_the_United_States - Marriage in the United States

10. https://en.wikipedia.org/wiki/Civil_marriage - civil marriage

11. https://en.wikipedia.org/wiki/Same-sex_marriage- same-sex marriage

სასამართლოს გადაწყვეტილებები

1. გადაწყვეტილება № ა-1289-შ-30-2010 - საოჯახო სამართლებრივი დავა (მეუღლეთა განქორწინების თაობაზე)

2. გადაწყვეტილება № ა-86-შ-4-2019 - საოჯახო სამართლებრივი დავა (მეუღლეთა განქორწინების თაობაზე)

3. გადაწყვეტილება № ას-888-850-2014 - საოჯახო სამართლებრივი დავა (ქორწინების პერიოდში შეძენილი ქონების გაყოფა)

4. გადაწვეტილება №ა-3666-ს-100-2016 - საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა, 31 ივლისი, 2017წ, ქ.თბილისი - საოჯახო სამართლებრივი დავა - განქორწინება (განჩინება საქართელოს სახელით)

5. გადაწვეტილება №ა-2379-შ-72-2014 – 18 ნოემბერი, 2014 წელი, თბილისი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა - განქორწინება